ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

**ყარაჯალაში ფატია ჰუსეინოვა მოკლეს** გვ.5



დაკავებულია მისი ყოფილი ქმარი ტელმან მუსტაფაევი

11 თებერვლიდან

კორნელი ბოროზდინი

სამეგრელო და სვანეთი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი



ორშაბათი, 17 თებერვალი, 2020 №39 (8303) ფასი: 60 თეთრი

# „გაზაფხულზე გახარიას გადადგომაა მოსალოდნელი“

გვ.3



## „თუ ივანიშვილი არჩევნებს გააყალბებს, დასავლეთი ანგარიშებს დაუყადაღებს“

გვ.2



ნიკა ჩიტაძე: „კობახიძე ივანიშვილისგან დავალებულია. ის თავის დროზე ბიძინამ „ამოქაჩა“

## „სააკაშვილი და ნაცმოძრაობა კი არ დაიშალნენ, გაიშალნენ“

გვ.3



ანზორ აბრალავა: „ამ ხელისუფლებასაც და ნაცმოძრაობასაც დემოკრატია ის ჰგონიათ, რომ მათგან განსხვავებულ ხალხს პოლიტიკაში არ შეუშვებენ“

გვ.4



## „თუ უგულავა დაიჭირეს, ყველა მუნიციპალიტეტის მერი დასაჭერია“

ოთარ კვირიკაშვილი: „სისტემურ კორუფციაში სამხარაულის ბიურო, შესყიდვების სააგენტო, ყველა მუნიციპალიტეტი გარეულია“

## ამირან სალუქვაძე: „ოპოზიციამ უკეთესი ქვეყანა ვერ ნახა, რომ ავღანურ საარჩევნო მოდელს ითხოვს?“

გვ.4



ISSN 1987-9385

2 „ისინი ყოველთვის კივიან და წივიან...“ აჭარის ტელევიზიის დირექტორი აქციას გამოეხმაურა

5 მარნეულში გატაცებული გოგონა პოლიციამ სახლში დააბრუნა

2 „ვნახოთ, როგორ შეაპარებენ შოთაძეს პარლამენტში“

6 მაიკ პომპეო: „დასავლეთი იმარჯვებს“

# „თუ ივანიშვილი არჩევნებს გააყალბებს, დასავლეთი ანგარიშებს დაუყადაღებს“

## ნიკა ჩიტაძე: „კობახიძე ივანიშვილისგან დავალებულია. ის თავის დროზე ბიძინამ „ამოქაჩა“

იაგო ნაცვლიშვილი

**გასულ კვირაში „ქართული ოცნების“ ლიდერები კახა კალაძე და ირაკლი კობახიძე სტრასბურში იყვნენ და ევროპარლამენტში შეხვედრებს მართავდნენ, თუმცა ამან დასავლეთის კრიტიკა არათუ შეაჩერა, პირიქით, ერთიორად გაზარდა. მათი ჩართვა აეროპორტიდან ასევე დიდი განხილვის საგანი გახდა. სოციალურ ქსელებში ისინი „ნაცემ ბავშვებსაც“ კი შეადარეს. რა შედეგი მოიტანა მათმა ვიზიტმა „ქართული ოცნებისთვის“ და საბოლოოდ დაიხურა დიალოგის კარი თუ რაღაც შანსი მაინც რჩება? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.**



***— როგორ ფიქრობთ, კალაძისა და კობახიძის ვიზიტმა სტრასბურში მოიტანა თუ არა კონკრეტული შედეგი ხელისუფლებისთვის და ხომ არ დაინახეთ ის, რომ ივანიშვილის მხრიდან ხდება ამ ორი ლიდერის სრული დისკრედიტაცია?***

— ივანიშვილის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს თავისი გუნდის წარმომადგენლების დისკრედიტაცია. მით უმეტეს, ისინი არიან საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურები. კალაძე არის თბილისის მერი. მოგეხსენებათ, თბილისში საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 30% ცხოვრობს და გასაგებია, რამხელა ფიგურაც არის. რაც შეეხება კობახიძეს, ის პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარეა და დღესაც გავლენებით სარგებლობს ივანიშვილისთვის. მართალია, ის აღარ არის პარლამენტის თავმჯდომარე, მაგრამ, იმიტომ გადადგა, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, ისე ხალხის დაშოშმინებას ვერ შეძლებდნენ. „ოცნების“ მხრიდან განცხადებებს დღესაც უფრო კობახიძე აკეთებს, ვიდრე პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე. აქედან გამომდინარე, არა მგონია, რომ ივანიშვილი მათ დისკრედიტაციას ცდილობდეს, მით უმეტეს, რომ „ქართული ოცნება“ ბევრმა წამყვანმა პოლიტიკოსმა დატოვა.

***— მაშინ რით აიხსნება იმ განცხადებების შინაარსი, რომლებსაც ისინი აკეთებენ და რაც მათ იმიჯს მნიშვნელოვნად აზარალებს?***

— კი, მაგრამ, არა მგონია, ივანიშვილს ეს ჰქონდეს მიზნად. პირიქით, ივანიშვილს უნდა, რომ ისინი დაელაპარაკონ ევროპელ კოლეგებს ან თალაკვაძე – ამერიკელ კოლეგებს და აუხსნან სიტუაცია იმგვარად, რომ გაცილებით უკეთესი ძალაა „ქართული ოცნება“ და წარმოაჩენენ ისე, რომ ნაციონალური მოძრაობის დროს ხალხს აუპატიურებდნენ და იტყვიან, რომ დღეს თავისუფალ ჰაერს სუნთქავს საქართველო.

თავად ივანიშვილიც აკეთებს უპასუხისმგებლო განცხადებებს. თქვენც კარგად იცით მისი განცხადებები. რამდენიმე მაგალითს მოვიყვან. პრემიერის რანგში მან განაცხადა, ციხიდან ბევრი პატიმრის გამოშვებით კრიმინალი კი გაიზრდება, მაგრამ გაგებით უნდა მოვეკიდოთო. ლარის გაუფასურების გამო პრობლემები რომ შეექმნათ იმ ადამიანებს, რომლებსაც კრედიტები ჰქონდათ აღებული, ამაზე გვითხრა, რომ კრედიტს როცა იღებდნენ, უნდა დაფიქრებულიყვნენ და დაექირავებინათ ბანკირები, ან კიდევ ჩვენ შევქმნით პირობებს, რომ ბევრმა ქართველმა დატოვოს საქართველო და იქ დაიწყონ მუშაობაო. ამაზე ხომ ვერ ვიტყვით, რომ ივანიშვილი საკუთარი თავის დისკრედიტაციას ცდილობს. მას ჰგონია, რომ ჭკვიანურს ამბობს და ფულით ყველაფერი იყიდება.

კონფუცის აქვს ნათქვამი, ადამიანი შეცდომას იმიტომ კი არ უშვებს, რომ არ იცის, არამედ ჰგონია, რომ იცისო. ივანიშვილსაც ჰგონია, რომ ჭკვიანურს იტყვის და ამ დროს პირიქით გამოდის.

***— რამდენად ჭკვიანურია მიუნხენის აეროპორტიდან ჩართვა კალაძისა და კობახიძის და იქ შემდეგ კალაძის დისკუსია მოქალაქეებთან? ვნახეთ ფოტოები და გამოხმაურებები სოციალურ ქსელში, რომ ნაცემი ბავშვებივით იყვნენ და ა.შ. კიდევ უფრო სასაცილო მდგომარეობაში ხომ არ ჩაიგდეს თავი?***

— კი, ასეა, მაგრამ მათ ჰგონიათ, რომ ჭკვიანურს აკეთებენ და მაგაშია პრობლემა, თუნდაც ის ჩართვაც ამაზე მეტყველებს. უხერხული კითხვებიც დაუსვეს მათ და ვნახეთ, რომ კალაძე ერთ-ერთ ახალგაზრდა აქტივისტთან დისკუსიაში შევიდა. ამაზე აქვთ გათვლა.

***— სხვა ადგილი ვერ მოიძებნა ჩართვისთვის, აეროპორტიდან რომ არ ჰქონოდათ?***

— კი, მაგრამ ეს არ არის მთავარი პრობლემა. ჩემთვის ფორმაზე მეტად შინაარსია პრობლემატური. „ოცნებაში“ შედარებით ინტელექტუალი ვინც იყო, მათ დატოვეს პარტია და ხუმრობაც კი იყო, რომ ინგლისურის მცოდნე არავინ დარჩა, რომ დასავლეთში წავიდნენ და ინგლისურად გაესაუბრონო. დარჩენილებიდან ყველაზე მეტად ივანიშვილთან დაახლოებულები სწორედ კალაძე, კობახიძე და თალაკვაძე არიან. ამავე დროს, თალაკვაძე და კობახიძე დავალებულებიც არიან ივანიშვილის წინაშე. კობახიძე თავის დროზე პარლამენტის თავმჯდომარე იყო და ბიძინამ „ამოქაჩა“. არც რესურსი აქვს იმის, რომ ვიღაცა გაუშვას სტრასბურში, ბრიუსელსა თუ ვაშინგტონში.

***— ევროპარლამენტიდანაც და დასავლური სხვა ინსტიტუციებიდანაც ისევ ისმის დიალოგისკენ მოთხოვნა. გგონიათ, რომ ივანიშვილმა დიალოგის ყველა გზა გადაკეტა თუ რჩება რამე რესურსი, რის გამოც, შესაძლოა, მაინც განახლდეს?***

— ძალიან გართულდა დიალოგის შესაძლებლობა და ნაკლები წინაპირობა არსებობს იმისათვის, რომ განახლდეს დიალოგი. შესაძლებელია, ის მაინც განახლდეს, იმიტომ, რომ ოპოზიციასაც არ აწყობს მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობა, შერეული სისტემა 77/73-ზე. მიუხედავად იმისა, რომ უგულავა დააპატიმრეს და მელიას, გვარამიასა თუ სხვებს უქმნიან პრობლემებს, ამის მიუხედავად, ოპოზიცია, შესაძლოა, მაინც წავიდეს დიალოგზე. ამ ეტაპზე უგულავას საქმის გამო თავს იკავებენ, მაგრამ სამომავლოდ ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად წავა ხელისუფლება დათმობებზე. „ოცნება“ ამბობს, რომ თანახმაა, თუ 100 პარლამენტარის არჩევა მოხდება პროპორციულით და 50-ის – მაჟორიტარული წესით.

***— ანუ დიალოგი დიალოგისთვის ვეღარ გაიმართება და გარკვეული კომპრომისისკენ მზაობა უნდა გამოთქვას ხელისუფლებამაც?***

— კი და არც ის არის გამორიცხული, რომ ხელისუფლება დათმობაზე წავიდეს, თუ დასავლეთი კიდევ უფრო გაამკაცრებს მიდგომას უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის ქონების მიმართ და დიპლომატიური ზეწოლა გაძლიერდება.

ზეწოლა მკვეთრად გაიზარდა ბოლო 3-4 თვის განმავლობაში, რაც არ ხდებოდა 8 წლის განმავლობაში დასავლეთისგან. ის ბევრ რამეზე ხუჭავდა თვალს. 2012-13 წლებში 53 გამგეობაში მოხდა უკანონოდ შეჭრა „ოცნების“ მხრიდან. იყო კორცხელის ინციდენტი, სადაც კამერების წინ ურტყამდნენ და არც ერთზე სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. იყო თავდასხმები ოპოზიციაზე, იქ ეროვნული ბიბლიოთეკის ინციდენტი იყო, ნუგზარ წიკლაურზე თავდასხმა, ჭიაბერაშვილზე თავდასხმა და ა.შ. თუნდაც 20 ივნისის მოვლენების დროსაც კი არ იყო საკმარისად მკვეთრი განცხადებები ხელისუფლების მისამართით დასავლეთის მხრიდან, 2 კვირის თავზე ევროკომისიის თავმჯდომარე ჩამოვიდა საქართველოში და ბათუმში კონფერენციას დაესწრო და თქვა, საქართველოში რომ ჩამოვდივარ, თავისუფლებასა და დემოკრატიას ვხედავო.

***— პროპორციულზე გადასვლასთან დაკავშირებით პირობის შეუსრულებლობა გახდა წითელი ხაზი?***

— დიახ, ეს გახდა, ასევე იყო ანაკლიის პროექტის ჩავარდნა და ამ თემის გარშემო ატეხილი სკანდალი, მაგრამ მთავარი მაინც პირობის შეუსრულებლობა გახდა. „ქართულ ოცნებას“ გარკვეულწილად მაინც შანსი მისცეს ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის მხრივ. ეს მოხდებოდა, თუ არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა.

***— თუ ზეწოლა იქნება დასავლეთის მხრიდან, მათ შორის ივანიშვილის ქონებაზეც, მაშინ დათანხმდება „ოცნება“ კომპრომისს?***

— მაშინ, იძულებული იქნება, კომპრომისს დასთანხმდეს. იცით, რომ მოლდოვის ოლიგარქის მიმართ გატარდა გარკვეული ღონისძიებები და, შესაბამისად, დიდი ალბათობაა, რომ ივანიშვილის მიმართაც იყოს სანქციები ამოქმედებული. ივანიშვილს რუსეთში აღარ გააჩნია ბიზნესები, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ „გაზპრომის“ აქციონერია. 2012 წლამდე მან გაყიდა თავისი აქტივები და 2 მილიარდამდე გადმოირიცხა მის ანგარიშზე დასავლურ ბანკებში.

ყველაზე კარგი იქნება, არჩევნების გზით მოხდეს ხელისუფლების გადაბარება და „ქართული ოცნება“ კი არ დაიშალოს, არამედ ოპოზიციაში წავიდეს და იყოს ნორმალური პოლიტიკური ბრძოლა ქვეყანაში. ჯერჯერობით პრობლემაა ის, რომ არაჯანსაღი პოლიტიკური ბრძოლა ხდება და ამას მმართველი ძალა უწყობს ხელს.

ჟურნალ „ფორბსის“ მონაცემებით, ივანიშვილის ქონება გაიზარდა და ივანიშვილს შეუძლია, ფონდ „ქართუსა“ და თანაინვესტირების ფონდის მეშვეობით საქართველოში გარკვეული ინფრასტრუქტურული პროექტები განახორციელოს და ხალხის ნდობა ხელახლა მოიპოვოს.

ივანიშვილმა რომც გააყალბოს არჩევნები და მართლა რომ გადაკვეთოს წითელი ხაზი, ამაზე თვალს აღარ დახუჭავს დასავლეთი. 2018 წელს დახუჭა, მიუხედავად იმისა, რომ ეუთომ და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ძალიან მკაცრი დასკვნა დადეს. თუ ივანიშვილი გაყალბებაზე წავა, დასავლეთი იძულებული იქნება, მას ანგარიშები გაუყინოს და ამ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ ფინანსური რესურსიც ამოიწურება.

„ოცნებამ“ რეალობას უნდა გაუსწოროს თვალი და ივანიშვილმა მლიქვნელებს კი არ უნდა უსმინოს, არამედ რეალური ლობისტი დაიქირაოს, რომელიც რეალურ სურათს დაუდებს. მან არ უნდა უსმინოს ე.წ. ინტელექტუალების წარმომადგენლებს, რომლებიც ფულს იღებენ და მას იყენებენ. არავის ცუდს არ ვუსურვებ, „ოცნების“ წარმომადგენლებიც თანამოქალაქეები არიან, მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველო არ უნდა დაზარალდეს.

# „ისინი ყოველთვის კივიან და წივიან...“

## აჭარის ტელევიზიის დირექტორი აქციას გამოეხმაურა




გუშინ, 16 თებერვალს, აჭარის ტელევიზიის შენობასთან შეიკრიბნენ მოქალაქეები, ჟურნალისტები, იურისტები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, რათა სოლიდარობა გამოეცხადებინათ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ახალი ამბების გუნდისთვის.

თამარ მამეიშვილი, აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული ცენტრის რეგიონული კოორდინატორი, აქციაზე შვილთან ერთად მოვიდა. მან „ბათუმელებს“ უთხრა, რომ მისი, როგორც მოქალაქის მოვალეობაა ამ აქციაზე ყოფნა:

— ვხედავ საფრთხეს. აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელზე ხდება არაჯანსაღი პროცესი. ეს პროცესები ბოლო თვეების განმავლობაში ვითარდებოდა და ვცდილობდით, ყოველთვის წინააღმდეგობა გაგვეწია როგორც პირადად მე, ერთ მოქალაქეს, ასევე ორგანიზაციულადაც. ჩემი, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი წევრის მოვალეობაა, ვიდგე მაუწყებლის გვერდით და ხელი შევუშალო იმ მოვლენების განვითარებას, რაც ემუქრება ტელევიზიას. არ მინდა, ეს სივრცე, როგორც ამ მაუწყებლის მაყურებელმა, დავკარგო.

— დღეს მიმდინარე აქცია ადასტურებს, რომ საზოგადოება შეწუხებულია იმით, რაც მაუწყებელში ხდება. ჩემი შეფასებით, ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს მაუწყებლის ნგრევა, რასაც აკეთებს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭო დირექტორის მხარდაჭერით, — განაცხადა აჭარის სატელევიზიო მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს წევრმა გია ქარცივაძემ.

არხის გენერალურმა დირექტორის გოგა კოხრეიძისთვის კი გაუგებარი დარჩა, რას აპროტესტებდნენ ჟურნალისტები. გოგა კოხრეიძემ „კურიერთან“ განაცხადა, რომ მისი მოსვლის შემდეგ არხზე ცვლილებები არ მომხდარა.

— ისინი ყოველთვის სავარაუდო საფრთხეებზე კივიან და წივიან... ორგანიზაცია უნდა მუშაობდეს გამართულად. არავის პიროვნული ინტერესი ჩემი არავის მიმართ არ არის. ყველა ადამიანი გადანაწილდება თანამდებობებზე ისე, როგორც საჭიროა. საერთოდ, მე მოადგილეებთან დაკავშირებით მაქვს ჩემი პოზიცია. ისინი იმეორებენ გარკვეულ ფუნქციას და არ არის გამეორება საჭირო, — განაცხადა გიორგი კოხრეიძემ.

# „ვნახოთ, როგორ შეაპარებენ შოთაძეს პარლამენტში“

## ოპოზიცია პარლამენტის შენობის პიკეტირებას გეგმავს

დღეს, 17 თებერვალს, პარლამენტში იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატ ირაკლი შოთაძეს მოუსმენენ. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა 14:00 საათზე არის ჩანიშნული.



შეგახსენებთ, რომ ირაკლი შოთაძე საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობას 2015 წლის 19 ნოემბრიდან 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით ხელმძღვანელობდა. აღნიშნული პოსტი მან მას შემდეგ დატოვა, რაც ხორავას ქუჩაზე მოზარდებს შორის მომხდარ მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ქუჩის მასშტაბური საპროტესტო აქცია მოჰყვა.

❖ ❖ ❖

ნაციონალური მოძრაობის წევრი თინა ბოკუჩავა აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა სხვა ოპოზიციურ ძალებთან ერთად პარლამენტის შენობის პიკეტირებას გეგმავს.

— პარლამენტის შენობის გარეთ პროტესტი აუცილებლად იქნება. ეს პროტესტი საერთო ოპოზიციურ ფორმატშია შეთანხმებული. ბუნებრივია, შეუძლებელია პროტესტის გარეშე შეხვდეს ოპოზიცია შოთაძის დანიშვნას, რომელიც ივანიშვილმა თავის დროზე საზოგადოებრივი წნეხისა და სკანდალის ფონზე გაუშვა.

ბუნებრივია, ბოიკოტის რეჟიმი არ დაირღვევა, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ რამდენიმე დეპუტატმა ასევე ინდივიდუალურ რეჟიმში, მხოლოდ და მხოლოდ პროტესტის გამოხატვის მიზნით, პარლამენტის შენობის შიგნითაც გარკვეული მოქმედებები დავგეგმოთ, იქნება ეს საკომიტეტო მოსმენაზე, რომელიც იურიდიულ კომიტეტზე ხდება, თუ სამშაბათს, პლენარულ სხდომაზე, — განაცხადა თინა ბოკუჩავამ.

მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობა სხვა ოპოზიციურ ძალებთან მჭიდრო კოორდინაციაშია.

— საინტერესოა, ამჯერად რომელი შესასვლელიდან შეაპარებენ საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს, რომელთაც დაკარგული აქვთ სახე და საზოგადოების ნდობა. ასევე შოთაძეს, რეციკლირებულ პროკურორს, რომელსაც საზოგადოების მხრიდან ყოველგვარი ნდობა დაკარგული აქვს. საინტერესოა, მას რომელი შესასვლელიდან შეაპარებენ.

ვაპირებთ, რომ სხვა ოპოზიციურ ძალებთან და სამოქალაქო მოძრაობებთან ერთად პარლამენტის ყველა შესასვლელთან ვიყოთ, — განაცხადა ბოკუჩავამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გაზაფხულზე გახარიას გადადგომაა მოსალოდნელი“

## ვახტანგ ძაბირაძე: „ვადამდელი არჩევნები არ იქნება“



ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკების რესურსი ამოიწურა?***

– ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებები შეწყდა. ოპოზიცია ემოციურად მოქმედებს, ხელისუფლება კი ვერ აცნობიერებს თავისი მოქმედების სკალას. ახლა ყველაზე მთავარი საკითხი არჩევნების ლეგიტიმაციაა.

საქართველოში არჩევნების ლეგიტიმაცია ხდება არა მხოლოდ ცესკოს, არამედ დასავლეთის მიერაც. ორივემ ლეგიტიმურად უნდა ცნოს და ეს ასე იყო ყოველთვის. პირდაპირ თუ ირიბად დასავლეთმა უნდა აღიაროს საქართველოში არჩევნების შედეგები და, თუ ზღვარი სტაბილურობასა და ლეგიტიმურობას შორის გადის, მაშინ ოპოზიციამ უნდა განსაზღვროს, დასავლეთი რაზე გააკეთებს აქცენტს – სტაბილურობაზე თუ არჩევნების ლეგიტიმურობაზე.

ოპოზიციამ მუდმივად უნდა აგროვოს პოლიტიკური კაპიტალი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. რეზოლუციის ჩავარდნა სულაც არ ნიშნავს, რომ დასავლეთი უპირობო მხარდაჭერას გამოუცხადებს ოპოზიციას, ისევე, როგორც ხელისუფლებას. თუ ხელისუფლება ასე გააგრძელებს, მაშინ დასავლეთისთვის არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხი კითხვის ქვეშ დადგება.

***– მაშინ რა მოხდება?***

– მაშინ ხელისუფლების გადაბარების სცენარი ვითარდება, მაგრამ, როგორ მოხდება გადაბარება, ისე, როგორც მოხდა შევარდნაძე-სააკაშვილის შემთხვევაში თუ გამსახურდიას დროს, ეს იქნება მნიშვნელოვანი საკითხი.

ცალკე საკითხია, რა მოხდა 1992 წელს და რა მოხდა 2003 ან 2012 წელს, როგორ ავცდით ბოლო ორ შემთხვევაში შიდა არეულობასა და დაპირისპირებას. ამაზე ოპოზიციასთან ერთად ხელისუფლებამ უნდა იფიქროს. თუ ეს ტალღა გაგრძელდება, მაშინ არჩევნების საგარეო ლეგიტიმაცია გაჭირდება. მოლდოვას რომ ახსენებენ ხშირ-ხშირად, სწორედ ეს პრობლემა დადგა იქ.

***– ოპოზიცია ივანიშვილს პლახოტნიუკის მაგალითს ახსენებს.***

– დიახ, ამიტომ ოპოზიციამაც და ხელისუფლებამაც უნდა იფიქრონ ამაზე. მე არ ვამბობ, რომ ერთმანეთის სასარგებლოდ იფიქრონ, მე ვლაპარაკობ იმაზე, რომ საკუთარი თავის სასარგებლოდ მაინც ხომ უნდა იფიქრო. თუ საკუთარ თავზე მაინც იფიქრებენ, მაშინ ეს სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილების ერთგვარი მეხამრიდი იქნება.

***– ვადამდელ არჩევნებს გამორიცხავთ? ამბობენ, რომ მაისში დაინიშნება.***

– გამორიცხვით არაფერს გამოვრიცხავ, თუმცა ვადამდელი არჩევნები, შესაძლოა, ხელისუფლებას მაშინ დასჭირვებოდა, თუ მოლაპარაკებები გაგრძელდებოდა და ოპოზიციის ზეწოლა გაგრძელდებოდა სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით. მაშინ „ოცნება“ ყველაფერს გააკეთებდა, რომ ეს არჩევნები მოქმედი სისტემით ჩაეტარებინა.

მე მაინც ოქტომბერში ველოდები არჩევნებს. თუ ხელისუფლება იძულებული არ გახდება გარე ფაქტორების გამო, ვადამდელ არჩევნებს არ დანიშნავს, თუმცა „ქართული ოცნების“ პირობებში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

***– გარე ფაქტორები რა შეიძლება იყოს?***

– წნეხის გაგრძელება იმ პროცესებზე, რომლებიც ვითარდება – იმავე უგულავას საქმეზე, საარჩევნო სისტემაზე, მოსალოდნელ რეპრესიებსა და ა.შ. თუ ამ მიმართულებით იქნება ზეწოლა არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ დასავლეთის მხრიდან და ხელისუფლება ამ ზეწოლას ვერ გაუძლებს, მაშინ, შეიძლება, ვადამდელ არჩევნებზე წავიდეს.

მე გაზაფხულზე უფრო მთავრობის ცვლილებას ველოდები, ვიდრე არჩევნებს.

***– პრემიერის ცვლილებას?***

– დიახ, გახარიასა და მისი გუნდის შეცვლას ახალი პრემიერითა და გუნდით, რომ არჩევნების ფინიშზე სწორედ ახალი მთავრობით გავიდნენ.

ეს უფრო რეალურია.

# „სააკაშვილი და ნაცმოძრაობა კი არ დაიშალნენ, გაიშალნენ“

## ანზორ აბრალავა: „ამ ხელისუფლებასაც და ნაცმოძრაობასაც დემოკრატია ის ჰგონიათ, რომ მათგან განსხვავებულ ხალხს პოლიტიკაში არ შეუშვებენ“

მარიამ მჭედლიშვილი



**პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ამერიკელი კანონმდებლებისა და ევროდეპუტატების მხრიდან მძაფრ კრიტიკას სპეციფიკურად განმარტავს. მისი აზრით, ამერიკელი და ევროპელი მეგობრები ხედავენ, რომ საქართველოს ხელისუფლება ძლიერია. ამ სიძლიერეში იგულისხმება ხალხის მხარდაჭერა. მათ იციან, რომ საქართველოში ოპოზიცია სუსტია. ისინი თვლიან, რომ ეს სუსტი ოპოზიცია უნდა შევინარჩუნოთ. როგორ უნდა გავიგოთ ირაკლი კობახიძის ეს გამოხმაურება საგარეო კრიტიკაზე? რატომ ვერ შევა საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოების რიგში? რა ხდება ოპოზიციურ ფრონტზე? — ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.**

***– ირაკლი კობახიძე ირწმუნება, რომ „ქართულ ოცნებას“ ზურგს უმაგრებს ხალხი, ოპოზიცია კი სუსტი და ცუდია. ამის მიუხედავად, ამერიკელი და ევროპელი პარტნიორები ოპოზიციის შენარჩუნებას მოითხოვენ.***

– არ ვიცი, რა აძლევს კობახიძეს ასეთი განცხადებების გაკეთების საფუძველს. ხალხს არჩევანის საშუალება ხომ უნდა მისცენ! საზოგადოებას უნდა, რომ ნორმალურად იცხოვროს, სახელმწიფო დინამიკურად განვითარდეს, იყოს კონკურენტული გარემო. შეიძლება, ზოგიერთი კრიტიკული განცხადება ვიღაცის ლობისტებისაგან წამოვიდა და ის სამართლიანი არ არის. ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა. ნებისმიერ შემთხვევაში, ხელისუფლება ვალდებულია, პასუხი გასცეს ყველა კითხვას, მათ შორის, უხერხულ კითხვებს ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. საქართველო ვითარდება იმ სტანდარტით, რომელიც აირჩია.

***– რომელი სტანდარტით?***

– სადაც არ არსებობს კონკურენტული გარემო, სადაც პირს შეუძლია პარტიის დარეგისტრირება, მაგრამ ეს რეგისტრაცია ფარატინა ქაღალდად რჩება. სხვა ნაბიჯებს პარტიას არ გადაადგმევინებენ. ჩვენი სტანდარტი ასეთია – არსებობს „ქართული ოცნება“ და მისი მოწინააღმდეგე ნაცმოძრაობა თავისი დანამატებით, შერჩეული ექსპერტებით, პარტიული ტელევიზიებით. პოლიტიკურ ველზე უნდა იყვნენ მხოლოდ ისინი. პარტიებს ყოფენ კვალიფიციურებად და არაკვალიფიციურებად. კვალიფიციურს ბიუჯეტი აფინანსებს. კვალიფიციურად მიჩნეულებში არიან ისეთები, რომელთა დასახელება და ლიდერის გვარიც კი ხალხისათვის უცნობია.

***– ეს არ შეესაბამება დემოკრატიულ პრინციპებს?***

– რასაკვირველია, ეს არანაირ დემოკრატიაში არ ჯდება. თუ დაშვებულია მრავალპარტიულობა, მაშინ დისკრიმინაცია რატომ არის?! ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოფილ დეპუტატს აქვს პარლამენტის შენობაში შესვლის უფლება.

***– ჩვენთანაც ხომ აქვთ?***

– არა. თუ საშვი არ გჭირავს, არ მიგიშვებენ. მაგალითად, მე რომ მივიდე, დაბრკოლება მექნება. დემოკრატიულ ქვეყნებში ეს საკითხი მოწესრიგებულია. ამათ დემოკრატიაზე უცნაური წარმოდგენა აქვთ. ამაზრზენი ანტიდემოკრატიული პრაქტიკა სააკაშვილმა დანერგა. მისთვის დემოკრატია გიჟის თავისუფლებაა.

***– „ოცნებისთვის?***

– „ოცნებისთვისაც“ არაკონკურენტული გარემო ითვლება დემოკრატიად. ტექნოლოგიების საუკუნეში პოლიტიკური ძალებისთვის მნიშვნელოვანია ინტერნეტი. აქ დეტალურად უნდა იყოს გათვლილი ინფორმაციის მოწოდების შესაძლებლობები. საქართველოში ისევ ტელევიზიები თამაშობენ როლს.

ტელევიზიები შეზღუდულია. იქ გაშლილია იმათი ასპარეზი, ვისაც თავი განათლებული, პროგრესული და გამოცდილი ჰგონია, სინამდვილეში კი ჩვეულებრივი ავანტიურისტი და ანტიდემოკრატია. ბოკერიას რომ წარმოგვიდგენენ დემოკრატიის შუქურად, ეს სირცხვილია. სააკაშვილმა ხომ „ჩაუშვა“ ეს ოპოზიციონერები!

***– რას გულისხმობთ?***

– „ქართული ოცნება“ წკიპზე გადარჩა, ხელისუფლებას ვამხობდითო.

***– მაგას ხელისუფლებაც ამბობს, გვამხობდნენო.***

– სააკაშვილის მითითებით დამხობა ბევრჯერ იგეგმებოდა. როცა „რუსთავი 2“ ნაცმოძრაობისა იყო, რევოლუციური შტაბი იქ ჰქონდათ მოწყობილი. როცა სჭირდებათ, გაეროს კონვენციებს იშველიებენ, ადამიანებს აჯანყების უფლება აქვთო.

***– თუ ვინმე სახელმწიფოს წინააღმდეგ რამეს აშავებდა, იმას მოჰკითხონ. დაუჯერებელია, რომ სახელმწიფოს მთავარი მტრები ირაკლი ოქრუაშვილი და გიგი უგულავა იყვნენ.***

– მთავარი ორგანიზატორები და შემსრულებლები ესენი არ არიან. ისე, ყველა იყო ჩათრეული იმ პროცესებში. ადამიანურად, ციხეში მყოფები მეცოდებიან. მათი პრობლემები მაშინ დაიწყო, როცა სააკაშვილმა მაღალ თანამდებობებზე დაამტკიცა. თვითონ უგუნურმა და გამოუცდელმა სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოიყვანა უმწიფარი ადამიანები. ისინი ხიბლში ჩაცვივდნენ. მაშინაც დიდი შეცდომები დაუშვეს და შემდეგაც. მათ ვერც გამოცდილება შეიძინეს და ვერც ჭკუა ისწავლეს.

სააკაშვილი თავის მოხელეებს ეუბნებოდა, 50 და 50 წელიწადი ვიქნებით ხელისუფლებაშიო. ეს რომ არ გამოუვიდათ, ეს ხალხი (მარტო ორ ადამიანზე არ ვსაუბრობ) დეპრესიაში ჩავარდა. სააკაშვილის ყოფილ ჩინოსნებსა და ნაცმოძრაობას ხელისუფლებაში დაბრუნება განკურნავს.

***– სააკაშვილი რომ ნაციონალებსა და ოპოზიციურ ერთობას გაემიჯნა? ცალკე შტაბს ქმნის და იქ იმ ახალგაზრდებს შეკრებს, რომლებმაც ტრენინგები უკრაინაში გაიარეს.***

– მაგის არ მჯერა. სააკაშვილი და ნაცმოძრაობა კი არ დაიშალნენ, გაიშალნენ. ნაცები და ევრონაცებიც ხომ გაიყვნენ, საპრეზიდენტო არჩევნებში ისევ შეერთდნენ. არა მგონია, რომ სააკაშვილს ნაციონალურ მოძრაობასთან განხეთქილება ჰქონდეს.

***– ახლა სხვა რეალობაა, ნაცმოძრაობა შედის ოპოზიციურ ერთობაში.***

– მაგ ერთობამ რა გააკეთა?! ვერც ხალხი მოიზიდა, ვერც იდეები წამოაყენა. ერთმანეთისგან განსხვავებულებიც არიან, მაგრამ, ერთად რომ არიან, ყველა ერთია. გაჩერებული მატარებლიდან რომ თავი გამოყო და აქეთ-იქით გააქნიო, ასე იქცევა ეგ ოპოზიცია. არადა, იქ არიან ადამიანები, რომლებიც საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდნენ. ამათ მაინც უნდა იცოდნენ დიპლომატიის საფუძვლები. არაფერი იციან, მუდმივ ისტერიკაში იმყოფებიან.

სააკაშვილმა რომ აავსო ხელისუფლება უვიცებით, მანამდე კი შევარდნაძემ შესცოდა. მან კარი გაუღო უცოდინარ, გამოუცდელ ავანტიურისტებს. მათი ნაწილი ახლაც პოლიტიკაშია და ბევრს აშავებს.

***– ხელისუფლება სხვებზე მეტს აშავებს.***

– ხელისუფლება არ ცვლის გარემოს, არ ქმნის კონკურენციის შესაძლებლობას. არჩევნებზე „ქართული ოცნებაც“ ცუდ შედეგს მიიღებს და უსახური ოპოზიციაც.

***– უკონკურენტო პირობებშიც ჩნდებიან ხოლმე ახალი ძალები.***

– ეს ძალიან ძნელი იქნება. ჯანსაღი, განათლებული და პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდობა თავის სიტყვას მაინც იტყვის. ახალგაზრდობის აქციები ბოლო თვეებში ბევრი ვნახეთ. სამწუხაროდ, მათ თავი ვერ დაგვამახსოვრეს.

შვილები მამების შეცდომებზე პასუხს არ აგებენ და ხშირად მშობლების გადაცდომებს აკრიტიკებენ. ჩვენ გააქტიურებულ ოჯახურ კლანებს ვხედავთ – რესპუბლიკელი ბერძენიშვილის შვილს, ასევე გვარამიას ტელევიზიის წამყვანის, ჟორჟოლიანის შვილს. შვილები იმეორებენ წინა თაობის შეცდომებს და არიან ამ პოლიტიკურ ბანაკში.

# ამირან სალუქვაძე: „ოპოზიციამ უკეთესი ქვეყანა ვერ ნახა, რომ ავღანურ საარჩევნო მოდელს ითხოვს?“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.**

**„გადაწყვეტილების მისაღებად ოპოზიციას ორი კვირა დარჩა. ცვლილებების ვადა იწურება. დანარჩენი მათი გადასაწყვეტია. ისევ მოგვიწევს უარესი მოდელით არჩევნების ჩატარება, ვიდრე შეთავაზებული ვარიანტია“**

***– ბატონო ამირან, საქართველოს საგარეო პოლიტიკა რაღაცნაირად არჩევნებთან გადაიხლართა. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა თითქოს გაუარესდა. თითქოს ამერიკელი სენატორებისა და კონგრესმენების წერილები არ იყო საკმარისი, ამას დაემატა ასოცირების კომიტეტის რეზოლუციის ჩავარდნა. ასოცირების კომიტეტის სხდომაზე ქართველი დეპუტატები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამის გამო საქართველოს ევროპასთან დაკავშირებული რეზოლუცია ველარ მიიღეს. რა შედეგის მომტანი იქნება საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ასეთი პოზიციონერობა?***

– ეს არ არის საგარეო პოლიტიკის გაუარესება. ეს საქართველოს შიდა ვიწრო პოლიტიკური ინტერესების, შიდა პოლიტიკური ბრძოლის საერთაშორისო არენაზე გადატანაა, რაც ჩვენნაირი ქვეყნისთვის, რომელიც ევროინტეგრაციის გზას ადგას და ოკუპაციის პირობებში ცხოვრობს, ძალიან საზიანოა.

ევროპასთან და ევროსტრუქტურებთან ინტეგრაციის გზაზე ჩვენ აუცილებლად გვჭირდება ეროვნული თანხმობა და ძალისხმევის გაათმაგება, გაერთიანება. ჩვენ, პირიქით, ევროპულ ტრიბუნას ერთმანეთთან საბრძოლველად ვიყენებთ. რამდენიმე ევროდეპუტატმა გვითხრა, აქ ნუ იომებთო, მაგრამ ჩვენს პოლიტიკურ პარტიებსა და ლიდერებს ეს არ ესმით.

***– საბოლოოდ, ასეთი ვითარება ხომ ქვეყნის მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებს? პარტნიორ ქვეყნებთან ქვეყნის ურთიერთობები ფუჭდება. ეს ბრძოლა, კონკრეტულად, რეზოლუციის ჩავარდნა რა შედეგს მოიტანს?***

– თქვენს კითხვაში პასუხიც იკითხება. გარკვეულ პერიოდში ეს ევროინტეგრაციის შეფერხებას გამოიწვევს, შეაფერხებს საქართველოს დაახლოებას ევროპასთან.

***– ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც საერთაშორისო მხარდაჭერა სჭირდება, რომ ოკუპანტ ქვეყანას რაღაცნაირად უკან დავახევინოთ. ამ შემთხვევაში რუსეთისთვის რას ნიშნავს, როდესაც ერთ აზრზე ვართ და შეთანხმებას ვერ ვახერხებთ?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „თუ უგულავა დაიჭირეს, ყველა მუნიციპალიტეტის მერი დასაჭერია“

ნონა ცაბაძე

## ოთარ კვირიკაშვილი: „სისტემურ კორუფციაში სამხარაულის ბიურო, შესყიდვების სააგენტო, ყველა მუნიციპალიტეტი გარეულია“

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობის“ კითხვებს ოთარ კვირიკაშვილი პასუხობს.**

***– ოთარ, ხელისუფლებამ დაპატიმრებების ახალი ტალღა დაიწყო. გიგი უგულავა დაპატიმრებულია, ახლა ნიკა მელიას დაჭერაც დააანონსეს. რას იტყვით?***

– უგულავას ედავებიან, რომ ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი დაასაქმა და, შეიძლება, მართლა დაასაქმა და რეალურად მათ ხელფასებში დაიხარჯა 48 მილიონი. მაშინ თუ ნაციონალურ მოძრაობას თავის ხალხი მაინც ჰყავდა დასაქმებული და მათ აკეთებინებდა საქმეს, ახლანდელ ხელისუფლებას დასაქმებული კი ჰყავს რაღაც სამსახურებში აქტივისტების გარკვეული კატეგორია, მაგრამ რეალურად ამ ადამიანებს არ აკეთებინებს არაფერს, ამათ გასაკეთებელს კიდევ სხვა აკეთებს, ქირაობს საკონსულტაციო კომპანიებს, იმათ ცალკე უხდის ფულს და ბიუჯეტის ფული იმათ მომსახურებაში კიდევ ცალკე იხარჯება.

***–ცნობილია თქვენთვის კონკრეტული შემთხვევები?***

– არის სიღნაღის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური, სადაც მუშაობს 9 ადამიანი. ამ ადამიანების ხელფასებში 2017-2019 წლებში დაიხარჯა 185 ათასი ლარი და მათ საერთოდ არაფერი გაუკეთებიათ, ქვა ქვაზე არ დაუდვიათ. მათი საქმე სიღნაღის მუნიციპალიტეტმა ერთ-ერთ საკონსულტაციო ფირმას გააკეთებინა და 20 ათასი ლარი გადაუხადა.

აუდიტის სამსახური პირდაპირ უწერს, ეს 9 ადამიანი იმისთვის გყავთ, რომ ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია, გაგიკეთონ საქმეო, მაგრამ ესენი სულ ტყუილად ჰყავთ დასაქმებული, პენსიასავით აძლევენ ამ ხელფასებს. მაშინ ამ პრინციპით, სხვა ფულის ფლანგვები, ის ტენდერები და შესყიდვები რომ აღარ ჩავთვალოთ, ნებისმიერი მერია დასაჭერი საქართველოს მასშტაბით.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ საკუთარ ამომრჩევლებზე აქვთ გათვლილი. ნეპოტიზმის ბუდედ არიან გადაქცეული მუნიციპალიტეტები, მერიები და საკრებულოები. თუ უგულავა დაიჭირეს, ყველა მუნიციპალიტეტის მერი დასაჭერია! რისთვის ყრიან ამ თანხებს? 185 ათასი, 200 ათასი, 300 ათასი, აი, ასეთ თანხებზეა საუბარი. მე ერთი სამსახურის მაგალითი მოვიყვანე და თითო მუნიციპალიტეტში 7-8 სამსახურია.



***– ანუ რისთვისაც დააკავეს უგულავა, იმავე დანაშაულს ჩადიან თვითონ?***

– დიახ, ასეა. თუმცა ჩვენ არ ვიცით, ვინც უგულავამ დაასაქმა, მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი რამდენი იყო და მათ რა მოუტანეს მაშინდელ თბილისის მერიას. შეიძლება მართლა ჰყავდა დასაქმებული უგულავას ის ადამიანები, მაგრამ უგულავას ის ფული ჯიბეში ხომ არ ჩაუდვია?! რასაც ესენი ედავებიან, მთელი საქართველოს მასშტაბით რომ გადავიანგარიშოთ, 48 მილიონიც გამოვა და ბევრად მეტიც. ბოლო დღეები აუდიტის დასკვნებს ვეცნობოდი და ისეთი კორუფცია მძვინვარებს, რომ რა გითხრათ.

***– ანუ გაქვთ კონკრეტული მაგალითები, სად რა ხდება?***

– კი, რა თქმა უნდა. გორი, დუშეთი, სიღნაღი, მცხეთა, ზუგდიდი, საკმაოდ ბევრ ქალაქზე დაიდო უკვე დასკვნა. ზუგდიდი ახლა დაიდო და დეტალურად ჯერ არ გავცნობივარ, მაგრამ ერთი ფაქტია ისეთი, კომედიურ ჟანრშიც რომ არ გადის – 70-ლიტრიან მანქანის ავზში ჩაასხეს 160 ლიტრი ბენზინი, ასე აქვთ გაფორმებული. იპარავენ ყველაფრიდან!

მაგალითად, სიღნაღის მუნიციპალიტეტი შეგნებულად არ ატარებს ტენდერებს, ანუ აცხადებს და აგდებს ან საერთოდ არ ატარებს, რომ შემდეგ ერთ პირს გაუფორმოს ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის სახით. ძალიან სისტემური კორუფცია იკვეთება ამაშიც. საკუთარ ახლობლებს აძლევენ ამ ტენდერებს ერთპიროვნულად. ეს ახლობლები, გარდა იმისა, რომ ტენდერებს იგებენ, არიან „ქართული ოცნების“ შემომწირველების ბაზაში და აი, სისტემური დანაშაულის ასეთი წრეა აწყობილი.

ახლა რაც ხდება, არ მომხდარა არასდროს! 2016 წლის შემდეგ, რაც მეორე ვადით მოვიდნენ, ერთი ტენდერი არ ჩაუტარებიათ! სად მიდის ეს ხარჯები, კაცმა არ იცის.

***– თბილისშიც მუშაობს ეს სქემები თუ რეგიონებში უკეთ ახერხებენ ასეთი თაღლითური სქემების შემუშავებას?***

– აბსოლუტურად ყველგან, მთავარია, უწყება იყოს და მნიშვნელობა არ აქვს, განსაკუთრებით კი რეგიონებში, იმიტომ, რომ რეგიონებში შედარებით ნაკლებია მედიის წნეხი, ნაკლებია სამოქალაქო სექტორის ჩართულობა და ეს ადამიანები დატაცებაზე არიან. გორშიც უამრავი ფაქტია ასეთი.

***– კერძოდ?***

– გორის ბაზრის ტერიტორია ეკუთვნის მაკრახიძეების ოჯახს. ეს ტერიტორია 4.000 კვ.მ-ია. ეს ოჯახი იჯარაში წელიწადში იხდის 8.000 ლარს, ანუ კვ.მ-ში 2 ლარს. შიგნით უამრავი მაღაზია აქვთ გაქირავებული კვ.მ. 140 და 150 ლარად, ანუ 80-ჯერ უგებს თითქმის მუნიციპალიტეტს.

***– „ოცნებასთან“ ახლობლობით ხდება ეს ყველაფერი?***

– კი, რა თქმა უნდა! აუდიტს პირდაპირ უწერია გორის ბაზარზე, რომ წელიწადში 280 ათას ლარს ზარალობს მუნიციპალიტეტი იმის გამო, რომ არარელევანტურ ფასად გადასცეს ბაზრის ტერიტორია საკუთარ ახლობლებს. უკვე იმდენი რაღაციდან ჭამენ ფულს, ისეთი მეტასტაზებივითა და კიბოს უჯრედებით არის გამჯდარი ეს კორუფცია ამ „ოცნების“ ხელისუფლებაში, რომ ამას აღარაფერი ეშველება.

***– საით მიდის სისტემა, ლპობისკენ?***

– სისტემა დამპალია. მიუშვეს უკვე სიტუაცია, ველარაფერს აკონტროლებენ. უბრალოდ, იციან, ვინ რას აკეთებს და ყურებით ჰყავთ ისინი დაჭერილი, ამიტომ ამ ხალხს სხვა გზა არ ექნება და ისევ „ოცნებაზე“ უნდა იმუშაოს. ვერ იჭერენ. ეს ხალხი რომ დაიჭირონ, ვინღა რჩებათ, არავინ?

აბსოლუტურად ყველა იპარავს. ისეთი სქემები აქვთ ამუშავებული, რომ რა გითხრათ. ამაში ჩართულია შესყიდვების სააგენტოც, ჩართულია სამხარაულის ბიურო, რადგან პროექტების დამტკიცება ხომ სჭირდებათ. ყველა გასვარეს, ყველა ჩაითრიეს. ვერც შესყიდვების სამსახურის გარეშე გაუფორმებენ ხელშეკრულებას. ერთხელ ხომ მაინც უნდა გაუჩნდეს კითხვა შესყიდვების სააგენტოს, აქ კორუფციული ნიშნები ხომ არ იკვეთება?! აუდიტს თუ გაუჩნდა კითხვები, მე თუ გამიჩნდა, ამათ რატომ არ უჩნდებათ ამდენი წელია?!

***– ანუ ყველა რგოლი გარეულია?***

– კი, სისტემური დანაშაულია. სისტემური კორუფციაა! სამხარაულის ბიურო, შესყიდვების სააგენტო, ყველა მუნიციპალიტეტი გარეულია! ყველა მერი დასაჭერია!

საკრებულოების, ასევე ადგილობრივი სატენდერო კომისიების პასუხისმგებლობის საკითხია დასაყენებელი, თითქმის ყველაზეა დასაწყები გამოძიება. შიდა აუდიტები სრულიად უფუნქციოა.

პროკურატურას უამრავი საქმე აქვს და ამ დროს სანახაობრივი საქმეებით ირთობს თავს. უგულავას თემა, გვარამიას თემა. ახლა გადავიდნენ იმაზე, რომ მედია დაიმორჩილონ. იმ დღეს ოხანაშვილის განცხადებები არ ყოფილა შემთხვევითი. აჭარის ტელევიზიაში რაც ხდება, აქეთ ტვ პირველი...

***– ანუ საით მიდის საქმე?***

– საით მიდის და ავტორიტარიზმისა და დიქტატურისკენ, რომ როგორმე თავი გადაირჩინონ. ამათ მეტი გზა აღარ რჩებათ. დღეს ესენი სირაქლემის პოზაში არიან. ჩაღუნეს თავი და აღარც ევროპას უსმენენ და აღარც ამერიკას, ცდილობენ, ამ ძალისმიერი მეთოდებით შეინარჩუნონ ხელისუფლება, რომ როგორმე დასაჭერები არ გახდნენ.

ყველა გარეულია და ყველა დასაჭერია. არ დარჩა ხელისუფლების შტო, რომ გარეული არ იყოს. ქვედა დონე, ზედა დონე – ყველა იპარავს. რიგითი სპეციალისტებიც კი გარიეს ამ საქმეში.

***– თქვენ ამბობთ, ყველაფერს აკეთებენ, რომ ხელისუფლება შეინარჩუნონო. რამდენად გამოუვათ?***

– არ გამოუვათ, გამორიცხულია! არც საშინაო მხარდაჭერა აქვთ და არც – საგარეო. ინვესტორები განდევნეს ქვეყნიდან. ყველა საერთაშორისო მხარდამჭერი გადაიკიდეს. აგონიაში არიან და სულელურ განცხადებას განცხადებაზე აკეთებენ. ამ ხელისუფლებამ ყველანაირი ზღვარი გადალახა, გადაუარა კანონსა და კონსტიტუციას.

ეს არის ჩვეულებრივი ბანდა, 90-იანებში რომ იყვნენ, ისეთი. ძალიან ცუდად დაამთავრებენ. ამ ხელისუფლებიდან იმდენი ადამიანი წავა ციხეში, რომ ალბათ ციხეები არ ეყოფა.

# ამირან სალუქვაძე: „ოპოზიციამ უკეთესი ქვეყანა ვერ ნახა, რომ ავღანურ საარჩევნო მოდელს ითხოვს?“



დასაწყისი მე-3 გვერდზე

– რუსეთი ყოველთვის ახალისებდა საქართველოში შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებებს. საქართველოს შიდა პოლიტიკური ვითარება რაც მეტად დაძაბული იქნება, მით უკეთესი მისთვის, მით უმეტეს, რაც უფრო მეტად გადავიტანთ შიდა დაპირისპირებას საერთაშორისო არენაზე – ევროსტრუქტურებში, ამერიკის სამთავრობო სტრუქტურებში, მით უკეთესი იქნება რუსეთისთვის.

რაც უფრო მეტად დაქსაქსულები ვიქნებით და დაპირისპირებას ქვეყნის გარეთ გადავიტანთ, რუსეთზე მით ნაკლები ზეწოლა მოხდება, მეტად გაჭიანურდება ყველაფერი, რაც საქართველოს უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაცია და ევროპასთან დაახლოება.

***– რატომ ვერასოდეს ვთანხმდებით შიგნით და ჩვენი შიდა საქმეები უცხო ქვეყნების განსახილველი რატომ ხდება, პრობლემა რა არის?***

– ბევრი პრობლემაა, პირველ რიგში, ღირებულებების იდეების არქონა. გაუგებარია, პარტიები რა იდეებს ატარებენ, რაზე არიან საერთოდ დაფუძნებული. მათთვის პირველხარისხოვანია არჩევნების მოგება და ძალაუფლებისთვის ბრძოლა და არა ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკაზე გაყოლა.

ამ ვითარებას ვუყურებთ 30 წელია, რასაც, სამწუხაროდ, ბოლო არ უჩანს. იცვლება მსოფლიო, იცვლება რეალობები, გარემოებები, საერთაშორისო ვითარება, იცვლებიან პოლიტიკოსები, მაგრამ ჩვენთან გვარებიც კი არ იცვლება. ერთსა და იმავე პოლიტიკოსებს ათეული წლებია, ვუყურებთ და ჭკუას ვერ ვსწავლობთ, წრეზე ვტრიალებთ.

***– პრობლემა ჩვენს პოლიტიკურ სპექტრშია?***

– პრობლემა პოლიტიკურ სპექტრშიც არის და, ალბათ, საზოგადოებაშიც. ვერ ვახერხებთ იმას, რომ გარკვეულ ძალებს სამუდამოდ ვუთხრათ არა, რათა მათი ჩანასახიც არ იყოს.

***– ამერიკელი სენატორებისა და კონგრესმენების წერილებისა და ევროინტეგრაციის კომიტეტის რეზოლუციის შემდეგ გაჩნდა აზრი, თითქოს ხელისუფლება საგარეო ვექტორს იცვლის. რას შეიძლება ეფუძნებოდეს ეს აზრი, მართლა არის ამის ნიშნები?***

– ეს აზრი სრულიად უსაფუძვლოა. თუ ხელისუფლება საგარეო ვექტორს ცვლის, რა უნდათ ევროპაში, ან რა უშლის ხელს, რომ საგარეო ვექტორი შეცვალოს მაშინ, როცა ერთხელ საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავდა პარლამენტში, ახლაც უმრავლესობაში არიან. საიდან ეშლებათ ხელი, თუ ვექტორის შეცვლა უნდათ. ოპოზიცია გაუწევს წინააღმდეგობას თუ რა. ამიტომ აბსურდია.

***– ოპოზიცია?***

– ოპოზიცია საგარეო ვექტორთან დაკავშირებით გაუგებრად თავად იქცევა. სულ ახლახან ოპოზიციურმა ძალებმა აჟიოტაჟი ატეხეს (განსაკუთრებით, ნაცმოძრაობამ და „ევროპულმა საქართველომ“), არჩევნების შემდეგ მთავრობის უმრავლესობას არ ჩამოაყალიბებენ პრორუსულ ძალებთან ერთად და ხელისუფლებას იმავე წინაპირობის შესრულება მოსთხოვეს.

ნაცმოძრაობამ, „ევროპულმა საქართველომ“, მათთან გაერთიანებულმა მცირე პარტიებმა და ხელისუფლებამაც განაცხადეს, რომ პრორუსულ ძალებთან ბლოკის შექმნასა და უმრავლესობის ჩამოყალიბებას არ აპირებენ.

რა მოჰყვა ამას? თვითონ ოპოზიციური ჯგუფები (პრორუსული, არაპრორუსული და პროდასავლელ ძალებად წოდებული) დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან, რაც სრული აბსურდია. თუ სხვას აბრალებ ვექტორის შეცვლას, მაშინ შენ თანმიმდევრული უნდა იყო.

***– ოპოზიცია ერთად დასხდომას პროპორციული საარჩევნო პროექტის ჩავარდნას უკავშირებს.***

– ამას ვერაფერი ამართლებს, ვერც საარჩევნო მოდელისთვის ბრძოლა. ან ზიხარ მათ გვერდით მოლაპარაკების მაგიდასთან, ან არ ზიხარ. თუ საარჩევნო მოდელის შეცვლის საკითხში თანამშრომლობ, მაშინ რატომ არ შეიძლება ბლოკის შექმნა და მთავრობის ჩამოყალიბება, თუ სხვა გზა არ არსებობს, როგორც მოხდა ეს მოლდოვაში და ძალიან ცუდად დამთავრდა. ფაქტობრივად, ხელისუფლება პრორუსულმა პარტიებმა ჩაიგდეს ხელში. ეს მოხდა პრორუსული და პროდასავლური პარტიების გაერთიანებით, ძალიან რომ უყვართ მოლდოვის მაგალითის მოყვანა.

***– მე მგონი, აღარ დაეძებენ პროდასავლურობასა და პრორუსულობას, მათთვის მთავარი ხელისუფლების დამარცხებაა.***

– ახლა გამოაცხადეს, რომ ის ხალხი, რომელიც შალვა ნათელაშვილის ოფისში იკრიბება, თბილისის მაჟორიტარულ ოლქებს გადაინაწილებს. თბილისში პარტიების ლიდერები თავიანთ კანდიდატებს დააყენებენ და ერთმანეთს კანდიდატებს არ დაუყენებენ. ეს იმას ნიშნავს, სადაც ნაცმოძრაობის კანდიდატები იქნებიან, იქ პრორუსულმა პარტიებმა, იმავე ნინო ბურჯანაძემ თავისი კანდიდატი არ უნდა დააყენოს.

სადაც ნინო ბურჯანაძე კანდიდატურას დააყენებს, იქ ნაცმოძრაობამ და სხვა პარტიებმა კანდიდატურა არ უნდა დააყენონ. ეს არ არის პრორუსულ ძალებთან თანამშრომლობა და ხელშეწყობა არ არის, რომ პრორუსული პარტიები ხელისუფლებაში მოვიდნენ? ანუ ლოგიკა და თანმიმდევრობა მათ განცხადებებს აკლია. თითიდან გამოწოვილი ურთიერთბრალოდებები მხოლოდ ქვეყნისთვის არის საზიანო.

***– ბურჯანაძე ოპოზიციამ გამოიყენა – მოსკოვში გააგზავნა, რომ, თუ არეულობა იქნებოდა, კრემლი საქართველოს შიდა საქმეებში არ ჩარეულიყო. ნინო ბურჯანაძის ვიზიტისას კრემლმაც გააკეთა განცხადება, თითქოს საქართველოს შიდა საქმეებში არ ერეოდა.***

– მაგ წვრილმანებზე არ ვიმსჯელებ.

***– როგორ ფიქრობთ, მას შემდეგ, რაც უგულავა დააპატიმრეს, ოპოზიცია კვლავ მიუჯდება მოლაპარაკების მაგიდას?***

– გადაწყვეტილების მისაღებად ორი კვირა დარჩათ. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, შემდეგ ცვლილებების ვადა იწურება, პროცედურულად ვერ ესწრება. დანარჩენი მათი გადასაწყვეტია. მათ განაცხადეს, რომ მოლაპარაკებების მაგიდასთან დაბრუნებას არ აპირებენ, რაც ცუდი იქნება. ისევ მოგვიწევს უარესი მოდელით არჩევნების ჩატარება, ვიდრე შეთავაზებული ვარიანტია.

100/50-ზე უბრალო ციფრები არ არის. ეს არის ორი მესამედი ერთ მესამედზე. დღეს გვაქვს ნახევარი ნახევარზე. ნახევარი ნახევარს, ორი მესამედი ერთ მესამედზე ვარიანტი რომ ჯობს, ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. ბევრი ქვეყანა წავიდა ამ გზით, მათ შორის, იტალია, რომელსაც პროპორციული საარჩევნო სისტემა ჰქონდა და 2017 წელს შეიცვალა. ჩვენთან რატომღაც ამოიჩემეს. უკეთესი ქვეყანა ვერ ნახეს მსოფლიოში და ავღანურ მოდელს ითხოვენ.

***– კარგი იქნება, თუ ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ქვეყანა არ დაზარალდება.***

– უკვე დაზარალებულია. უბრალოდ, დიდი ხანია, ჩვენ ამას ყურადღებას არ ვაქცევთ. ყველაფერს ხელს უშლის, დაწყებული ტურისტების შემცირებიდან, გაგრძელებული ინვესტიციების შემცირებით. როცა საერთაშორისო დერეფნებში, აშშ-ში თუ სხვაგან ჩააქვთ ყალბი ინფორმაციები, რომლებიც შემდეგ სენატორების საჯარო წერილებში ვრცელდება, რომ საქართველოში ეკონომიკური ვარდნაა, მაშინ, როცა ეკონომიკური ვარდნა კი არა, მატებაა, ეს ხომ პირდაპირ ინვესტიციების შემაფერხებელია.

# ყარაჯალაში ფატია ჰუსეინოვა მოკლეს

## დაკავებულია მისი ყოფილი ქმარი ტელმან მუსტაფაევი

15 თებერვალს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყარაჯალაში, მკვლელობა მოხდა. მოკლეს 23 წლის ფატია ჰუსეინოვა.

პოლიციამ მისი ყოფილი ქმარი ტელმან მუსტაფაევი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული ტ.მ. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 15 თებერვალს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში, ყოფილ მეუღლეს – 1996 წელს დაბადებულ ხ.ჰ.-ს, მისსავე საცხოვრებელ სახლში, ეჭვიანობის ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და მიიმალა. ხ.ჰ. ადგილზე გარდაიცვალა.



პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს," – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

ყარაჯალაში მომხდარი მკვლელობის შესახებ 33 წლის ტელმან მუსტაფაევის ოჯახის წევრები და მეზობლები საუბრობენ.

მათი ინფორმაციით, ყოფილმა ქმარმა ცოლი, სავარაუდოდ, ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა.

მეზობლების განცხადებით, ტელმან მუსტაფაევი სამუშაოდ რუსეთში იმყოფებოდა, აგროვებდა თანხას, რათა საქართველოში სახლი აეშენებინა და მეუღლესთან და 3 მცირეწლოვან შვილთან ერთად ეცხოვრა.

– ის სწორად მოიქცა... 6 თვის წინ დაიჭირეს. შემდეგ ცოლთან შერიგება უნდოდა, თუმცა, როდესაც ციხიდან გამოვიდა, გაიგო, რომ მისთვის უღალატია, ვიღაცასთან მიმოწერა ჰქონდა. ამის ფაქტებიც არსებობს. ტყუილია, რომ ნარკოტიკებს მოიხმარდა, – განაცხადა ბრალდებულის მეზობელმა.

ამასთან, ბრალდებულის ბიძა უარყოფს მოკლული ქალის ოჯახის წევრების ინფორმაციას, რომ მისი ძმისშვილი წამალდამოკიდებული იყო.

– შემიძლია დავადასტურო, რომ ჩემი ძმისშვილი ნარკოტიკებს არ მოიხმარდა და ეს ინფორმაცია არის გამოგონილი. რამდენადაც ვიცი, ის მეუღლესთან შერიგებას გეგმავდა, – განაცხადა ბიძამ.

მოკლული ფატია ჰუსეინოვას დედა კი აცხადებს, რომ მისი ყოფილი სიძე იყო წამალდამოკიდებული, მოიხმარდა აკრძალულ პრეპარატებს, გამუდმებით ითხოვდა თანხას და ძალადობდა როგორც მის შვილზე, ასევე მცირეწლოვან შვილიშვილებზე და მასზეც.

# გორის ტრასაზე ჯიპი სარეკლამო ბანერის ბოძს შეეჯახა

## 1 ადამიანი დაიღუპა, 3 დაშავდა

15 თებერვალს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის გორის მონაკვეთზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

ავარიის შედეგად დაიღუპა 1 ადამიანი, 3 კი დაშავდა. დაშავებულთა შორის მცირეწლოვნებიც არიან, ხოლო გარდაცვლილი ბებიაა.

თბილისიდან ბაკურიანის მიმართულებით მოძრავი „ლექსუსის" მარკის ჯიპი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და სარეკლამო ბანერის ბოძს შეეჯახა.

მომხდართან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება.

# ეწერთან სატვირთო მსუბუქ მანქანას დაეჯახა

## 2 ადამიანი დაშავდა

15 თებერვალს სოფელ ეწერთან სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები ერთმანეთს შეეჯახნენ.

შეჯახების შედეგად დაშავდნენ მსუბუქი ავტომობილის მძღოლი და მგზავრი. ისინი საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. ავტოსაგზაო შემთხვევის გამო გზაზე მოძრაობა შეფერხებული იყო.

მომხდარ ფაქტს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებს.

# გუდაურში მამაკაცი მოკლეს, 1 პირი მძიმედაა დაჭრილი

## დაკავებულია მ.კ.

გუშინ, 16 თებერვალს, გუდაურში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს. მკვლელობა გამთენიისას ე.წ. ახალი გუდაურის ტერიტორიაზე მოხდა.

ინციდენტში მონაწილე პირები, სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და მკვლელობას წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა.

გარდაცვლილია 1 პირი, მეორე კი მძიმედაა დაჭრილი და კლინიკაშია გადაყვანილი.

როგორც მოკლული, ასევე მკვლელობაში სავარაუდო დამნაშავე საქართველოს მოქალაქეები არიან.

„მთავარის" ინფორმაციით, სისხლიანი გარჩევის მონაწილეები ერთი სამეგობროს წევრები არიან. მოკლულ 22 წლის ბიჭს 3 ტყვია აქვს მოხვედრილი.

– ხმაური იყო, კამათისა და გინების ხმა ისმოდა. იყო სროლაც. ეს იყო გამთენიისას, – აცხადებს თვითმხილველი.

გუშინვე გუდაურში მომხდარი მკვლელობისთვის სამართალდამცველებმა 1981 წელს დაბადებული მ.კ. განზრახ მკვლელობისა (108-ე მუხლი) და დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობის (19-109– მული) ბრალდებით, ცხელ კვალზე, გუდაურში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 16 თებერვალს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1992 წელს დაბადებულ თ.გ.-ს და 1994 წელს დაბადებულ დ.ს.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჭრილობები მიაყენა. თ.გ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო დ.ს. გადაყვანილია საავადმყოფოში.

სამართალდამცველებმა ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს," – ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

# პოლიციამ იმერეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

პოლიციამ იმერეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო.

უწყების ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ტყიბულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედუბანში ერთი პირი დააკავეს.

1987 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ გ.გ.-ს ბრალად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა ედება.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უწყების ინფორმაციით, პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას, კალაშნიკოვის სისტემის „აკს-უ"-ის მოდელის ავტომატი, მჭიდი და 13 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.



გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

# პოლიციამ დმანისში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი დ.ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 13 თებერვალს, საღამოს, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში, ამავე სოფლის მკვიდრს – 1963 წელს დაბადებულ ზ.დ.-ს ბლაგვი საგნის გამოყენებით თავის არეში სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიმალა. დაშავებული ქალი მიყენებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

# ახალციხეში 2 მანქანა ერთმანეთს შეეჯახა

გუშინ, 16 თებერვალს, ახალციხეში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 2 ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად 3 მცირეწლოვანი დაშავდა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა დაშავებულები ახალციხის კლინიკა „იმედში" გადაიყვანა.

ერთი არასრულწლოვნის მდგომარეობა მძიმეა და ის თბილისში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მეორე ნაწილით დაიწყო.

# ლევან სიგუას მკვლელობის საქმეზე ვ.კ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2018 წელს დოლიძის ქუჩაზე ლევან სიგუას მკვლელობის საქმეზე კიდევ ერთი პირი ცრუ ინფორმაციის მიწოდების ბრალდებით დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, ბრალდებულმა სამართალდამცველებს ლევან სიგუას მკვლელობის საქმის გამოძიების პროცესში, მოწმის სახით გამოკითხვის დროს, მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის მიზნით, ცრუ ინფორმაცია მიაწოდა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული ვ.კ. ცრუ ინფორმაციის მიწოდების ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

დანაშაული 2-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა სამართალდამცველებს 2018 წლის 11 აგვისტოს თბილისში, დოლიძის ქუჩაზე მომხდარი, 1975 წელს დაბადებული ლ.ს.-ს მკვლელობის საქმის გამოძიების პროცესში, მოწმის სახით გამოკითხვის დროს, მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის მიზნით, ცრუ ინფორმაცია მიაწოდა.

გამოძიება ანგარებით ან პირადი მოტივით ცრუ ინფორმაციის მიწოდების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

ამავე სისხლის სამართლის საქმეზე, 2019 წლის ოქტომბერში დაკავებულია 3 პირი. გარდა ამისა, 2019 წელს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა და ამ დრომდე იძებნება 2 პირი", – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# მარნეულში გატაცებული გოგონა პოლიციამ სახლში დააბრუნა

## დაკავებულია 1 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული გ. მ. თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დააკავეს.




დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა სამ თანამზრახველთან ერთად, მიმდინარე წლის 14 თებერვალს, ქალაქ მარნეულში, ქორწინების მიზნით, თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა 2002 წელს დაბადებულ ა.ყ.-ს. და შემთხვევის ადგილიდან ავტომობილით წაიყვანა.

სამართალდამცველებმა გ.მ. ინტენსიური სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარნეულის მუნიციპალიტეტში დააკავეს, გოგონა კი საკუთარ სახლში დააბრუნეს.

გამოძიება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# ქეთევან წამებულის გამზირზე ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

15 თებერვალს თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირზე, ახალგაზრდა მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრეს.

იმავე დღეს სამართალდამცავებმა 38 წლის მამაკაცი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ნ.გ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით, ფეხის არეში ჭრილობა მიაყენა 1983 წელს დაბადებულ გ.დ.-ს.

სამართალდამცველებმა, დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა, ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# მაიკ პომპეო: „დასავლეთი იმარჯვებს“

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო მიუნხენში გამართულ ევროპის უსაფრთხოების კონფერენციაზე გამოვიდა. პომპეომ განაცხადა, რომ არც რუსეთისა და არც ჩინეთის ამბიციურ გეგმებს განხორციელება არ უწერია. დემოკრატიისა და ტოტალიტარიზმის ჭიდილშიც სასწორი დასავლეთის, ანუ დემოკრატიის მხარეს გადაიხარა.

— დასავლეთი იგებს! — თქვა მან.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რუსეთზე დაწვრილებით ისაუბრა. მან განაცხადა, რომ რუსები თავიანთი აგრესიული ქმედებით ევროპას საფრთხეს უქმნიან. ამის ნათელი მაგალითია უკრაინა და საქართველო.

— რუსეთმა მათი ტერიტორიის ნაწილი უკანონოდ მიითვისა! — ამბობს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი.

პომპეომ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ხმები ნატოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით ფრი-




ად გადაჭარბებულია.

— პრეზიდენტ ტრამპის სიტყვები, ამერიკა უწინარეს ყოვლისა, თვითიზოლაციას არ ნიშნავს! ჩვენ ნატოს გაძლიერებაზე ვზრუნავდით და მომავალშიც ვიზრუნებთ, — თქვა პომპეომ.

მიუნხენის კონფერენციაზე საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონიც გამოვიდა. მან განაცხადა, რომ რუსეთი ევროპის დესტაბილიზაციას ცდილობს.

— ამ მხრივ რუსები ძალზე აგრესიულები არიან! ისინი ერევიან ჩვენს არჩევნებში, ყიდულობენ პოლიტიკოსებსა და მთელ პარტიებს. გვაქვს ინფორმაცია, რომ ეს პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდება. რუსეთი ევროპის დესტაბილიზაციისთვის ემზადება! — თქვა საფრანგეთის ლიდერმა.

მანვე რუსეთთან ყოველგვარი დაპირისპირება გამორიცხა.

— ევროპის არც ერთ სახელმწიფოს რუსეთთან დაპირისპირება არ სურს. ერთადერთი გზა დიალოგია, — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა.

## ბაღდადში ამერიკულ ბაზას რაკეტები ესროლეს

ბაღდადში, სამხედრო ბაზაზე, სადაც აშშ-ისა და კოალიციის ძალები არიან განლაგებული, სარაკეტო თავდასხმის შედეგად რამდენიმე აფეთქება მოხდა.



ბაზა, რომელზეც თავდასხმა განხორციელდა, აშშ-ის საელჩოსთან ახლოს მდებარეობს.

## მოსკოვში ნიღბიანმა მამაკაცმა ტაძარში ორი ადამიანი დაჭრა

მოსკოვში პოლიციამ მამაკაცი დააკავა მას შემდეგ, რაც მან მართლმადიდებლურ ტაძარში საკვირაო ღვთისმსახურების დროს ორი ადამიანი დაჭრა.



— პოლიციამ 26 წლის მამაკაცი დააკავა, რომელიც 16 თებერვლის დილას ეკლესიაში შევიდა და 2 ადამიანი დანით დაჭრა, — განაცხადა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა ირინა ვოლკმა.

მამა კირილ სლადკოვის ინფორმაციით, თავდამსხმელს სათვალე და ნიღაბი ეკეთა და ყურსასმენებით მუსიკას უსმენდა.

პოლიციის ინფორმაციით, მომხდარს ამ ეტაპზე ტერორიზმის კვალიფიკაცია არ აქვს. დაშავებულები საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. თავდასხმის მოტივი უცნობია. შემთხვევა ბასმანის რაიონში, ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელობის ტაძარში მოხდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### მოდელს მშობიარობამ მილიონობით დოლარი მოუტანა



ჩინელმა ტოპმოდელმა მინ სიმ მილიარდერ მარიო ხოს ბავშვი გაუჩინა და ათობით მილიონი დოლარით გამდიდრდა.

30 წლის სი, რომელიც საცვლების ბრენდის Victoria's Secret-ის ჩვენებებში მონაწილეობდა, მაკაოში კაზინოების ქსელის მფლობელის სტენლი ხეს ნათესავს 2019 წლის ივლისში გაჰყვა ცოლად. სამი თვის შემდეგ მან გააჩინა ბიჭი, რომელსაც რონალდო დაარქვეს და ამისთვის მეუღლის ოჯახისგან საჩუქარი მიიღო.

— უხერხულია მის საჩუქარზე მსჯელობა, მაგრამ ის შთამბეჭდავი იქნება, — განაცხადა მაშინ მარიო ხომ ჟურნალისტებთან საუბარში.

ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემისთვის ცნობილი გახდა, რომ სიმ საჩუქრად მიიღო სახლი დიპ-უოტერ-ბეიში, რომელიც ჰონგ-კონგის ერთ-ერთ ყველაზე მდიდრულ რაიონად ითვლება. მისი ღირებულება 89 მილიონ დოლარს შეადგენს.

### სპილო ტურისტების მანქანაში შეიჭრა და დაარბია

შრი-ლანკის ეროვნულ პარკ იალაში დიდმა ინდურმა სპილომ ტურისტების ავტომობილი გააჩერა და საკვების ძებნაში იქაურობა დაარბია. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლში ჩანს, როგორ გადახტა საფარი ტურის ერთ-ერთი მონაწილე სხვა სკამზე ბავშვის დასაცავად. სპილომ ხორთუმი მანქანის სალონში შეყო,



პლასტიკატის ბოთლები და ქაღალდი აიღო და პირში გაიქანა. შემდეგ, როდესაც მიხვდა, რომ ეს ნივთები არ იჭმეოდა, უკან გადმოაფურთხა. მას შემდეგ, რაც სპილომ ხორთუმი მანქანის სალონიდან გამოაძვრინა, ტურისტების მანქანა შემთხვევის ადგილს სწრაფად გაეცალა, ხოლო მის უკან მომავალი ჯიპი სწრაფად გაბრუნდა, რათა ცხოველთან შეხვედრისთვის თავი აერიდებინა.

აღსანიშნავია, რომ სპილო, სახელად ჯემუნუ, ცნობილია თავისი ცუდი ქცევით. ის უკვე რამდენიმე წელია, ტურისტებს ატერორებს და სხვა სპილოსთან ჩხუბის დროს ცალი ეშვი დაკარგა.

### ლომები ზედამხედველ გოგონას თავს დაესხნენ და დაგლიჯეს



სამხრეთაფრიკის ლიმპოპოს პროვინციის ქალაქ ბელა-ბელასთან მდებარე სამონადირეო აღკვეთილში, გააფთრებულმა ლომებმა 21 წლის ზედამხედველი გოგონა დაგლიჯეს.

წინასწარი ვერსიით, მტაცებლები ახალგაზრდა ზედამხედველ სვონს ვან ბაიკს თავს იმ დროს დაესხნენ, როდესაც ის მათ ვოლიერში შევიდა. გოგონას ყვირილმა, რომელიც შველას ითხოვდა, პარკის თანამშრომლების ყურადღება მიიპყრო. შემთხვევის ადგილზე მისულმა ექიმებმა გოგონას სხეულზე ღრმა სისხლმდინარე ჭრილობები აღმოაჩინეს. მიუხედავად გაწეული სამედიცინო დახმარებისა, გოგონა დაიღუპა.

პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო. ამ დროისთვის დაუდგენელია, თუ რამდენი ლომი დაესხა თავს ვან ბაიკს. პოლიციის პოლკოვნიკმა მოატშე ნგოეპემ აღნიშნა, რომ ინციდენტის დროს გოგონა საკუთარ სამუშაოს ასრულებდა. ამავე დროს მას არ დაუზუსტებია, აპირებენ თუ არა გოგონაზე თავდამსხმელი ლომების დახოცვას.

### ურო-ზვიგენმა გუასა ფოტოგრაფის თვალწინ მოკლა



ამერიკის ფლორიდის შტატის კუნძულ სინგერის სანაპირო წყლებში ურო-ზვიგენი გუასას, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ვეფხვისებური პატარათვალება გრუპერი, ფოტოგრაფი ნატურალისტის მაიკლ პატრიკ ო'ნილის თვალწინ თავს დაესხა და მოკლა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეარხის გვერდზე გამოქვეყნდა.

პატრიკ ო'ნილმა საზღვაო ხომალდიდან ჰაერში დრონი აუშვა და შავფარფლიანი ზვიგენების ყოველწლიური მიგრაციის თვითმხილველი გახდა. მალე მან დიდი ურო-ზვიგენი შენიშნა.

— ვგრძნობდი, რომ ახლა რაღაც სულისშემძვრელი მოხდებოდა, — იხსენებს ფოტოგრაფი, რომელსაც ინტუიციამ არ უღალატა. მოულოდნელად მტაცებელი გუასასკენ გაექანა, რომელმაც ის-ის იყო, წყლის ზედაპირზე ამოცურა და მას პირი სტაცა. პატრიკ ო'ნილმა აღნიშნა, რომ ეს თევზები ოკეანის ფსკერის ბინადარნი არიან.

ფოტოგრაფმა ივარაუდა, რომ ზვიგენის თავდასხმამდე გუასა შემთხვევით მეთევზეებმა დაიჭირეს და შემდეგ გაუშვეს. მისი ვერსიით, მეთევზეებმა ის წყლიდან მეტისმეტად სწრაფად ამოიყვანეს, რის გამოც თევზს მუცელი გაებერა. ამის შედეგად კი მან წყლის ზედაპირზე ამოცურა და მტაცებლის ადვილი ნადავლი გახდა. მან ასევე განმარტა, რომ ფლორიდის ტერიტორიაზე გუასას დაჭერა კანონით აკრძალულია.

### მამაკაცმა მოგებული ბილეთი ნაგავში გადააგდო



ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ ნიუბერის მკვიდრმა ლატარიაში ასი ათასი დოლარი მოიგო და, საკუთარი უყურადღებობის გამო, კინაღამ მოგების გარეშე დარჩა.

24 იანვარს მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ავტოგასამართ სადგურზე ლატარიის ბილეთი შეიძინა. მეორე დღეს მან გათამაშების შედეგები შეამოწმა და გადაწყვიტა, რომ არაფერი მოუგია.

— შეცდომით სხვა დღის გათამაშების შედეგები ვნახე, — განმარტა მამაკაცმა, რომელმაც შემდეგ ლატარიის ბილეთი ნაგვის ურნაში ჩააგდო.

ამერიკელის მტკიცებით, მან ყავა დალია, კიდევ ერთხელ გადახედა გათამაშების შედეგებს და საკუთარ შეცდომას მიხვდა. მან გადაგდებული ლატარიის ბილეთი ნაგვის ურნიდან ამოქექა და დარწმუნდა, რომ ციფრების კომბინაციამ 9-15-25-27-30 მართლაც მსხვილი მოგება მოუტანა.

— საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, — აღიარა მამაკაცმა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ მოგებული თანხის ნაწილი ქველმოქმედებას მოახმაროს, ხოლო დანარჩენ თანხას შვილიშვილების კოლეჯში სწავლის ქირის გადასახდელად გადადებს.

### კურდღელს გადევნებული ძაღლი მიწაში ჩამარხულ მანქანაში გაიჭედა



ამერიკის ვირჯინიის შტატის ფრანკლინის ოლქში სამაშველო ჯგუფმა მიწაში ჩამარხული მანქანიდან ძაღლი ამოიყვანა. ამის თაობაზე ინფორმაცია სამაშველო ორგანიზაციამ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

— ბებერი ჰენრისთვის ბედნიერი ფინალი. ის მოიქცა ისე, როგორც მოიქცეოდა ნებისმიერი ბიგლი გაქცეული კურდღლის დანახვაზე... ის მას გაეკიდა და სოროში შეძვრა. ძაღლი მიტოვებულ და მიწაში ჩამარხულ ავტომობილში აღმოჩნდა და გაიჭედა, — განაცხადა ერთ-ერთმა მაშველმა.

მალე ძაღლი პატრონებმა მოიკითხეს, რომლებმაც ის გარეთ სასეირნოდ გამოუშვეს. მათ იქაურობა დაათვალიერეს და ძაღლის ყეფა მიწის სიღრმიდან შემოესმათ. ოჯახმა ცხოველთა კონტროლის სამსახურში დარეკა.

შემთხვევის ადგილზე მაშველები მივიდნენ და ძაღლი მიწის სიღრმიდან ამოიყვანეს.

— სიხარულით გაცნობებთ, რომ ჰენრი თავს კარგად გრძნობს. სამაშველო ოპერაციის დროს მას არანაირი დაზიანება არ მიუღია, მხოლოდ მსუბუქად გაიყინა, დაიქანცა და მოსწყურდა. ოჯახმა ცხოველი მის საყვარელ ადგილას, ბუხართან მოათავსა, — განმარტეს სამაშველო სამსახურში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბელარუსის ფეხბურთის ფედერაცია და კლუბები ვერ შეთანხმდნენ



26 მარტს საქართველოს ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ერთა ლიგის ფლეი ოფის მატჩს გამართავს ბელარუსთან.

უკვე ვწერდით, რომ ბელარუსის ნაკრებმა ამ მატჩისთვის მზადება ადრიანად დაიწყო, მაგრამ... როგორც ჩანს, ბელარუსულ ფეხბურთში დიდი არეულობაა. ჩვენი მომავალი მეტოქე თებერვლის ბოლომდე ბულგარეთსა და უზბეკეთს დაუპირისპირდება, მაგრამ გუნდის ბირთვმა შესაძლოა ამ მატჩებში მონაწილეობა ვერ მიიღოს.

საქმე ისაა, რომ ბრესტის დინამოს, ბორისოვის ბატესა და სოლიგორსკის შახტიორის ხელმძღვანელობამ ეროვნულ გუნდში ფეხბურთელების გაგზავნაზე უარი თქვა. მიზეზი მოახლოებული სეზონის სამზადისი და მოთამაშეების გადატვირთვაა.

პროტესტს ბელარუსის ფეხბურთის ფედერაცია გამოეხმაურა, რომელმაც კლუბების მიმართ უკმაყოფილება გამოხატა. ფედერაციის განცხადებაში წერია, რომ მათ ნაკრებს მრავალი წლის განმავლობაში პირველად ევროპის ჩემპიონატზე გასვლის რეალური შანსი აქვს და კლუბების ეს დამოკიდებულება მათთვის მიუღებელი და აღმაშფოთებელია. ფედერაციაში განიხილავენ შესაბამის წესებს და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის შემდეგ, კლუბების წარმომადგენლებს შეხვდებიან, რის მერეც გადაწყდება ითამაშებენ თუ არა ფეხბურთელები ამხანაგურ მატჩებში.

ბელარუსის ნაკრები ამხანაგურ შეხვედრებს 23 და 26 თებერვალს გამართავს, ჩვენი მეტოქის წამყვანი ფეხბურთელები კი, შესაძლოა, უმნიშვნელოვანეს დაპირისპირებას ნაკლები სათამაშო პრაქტიკით შეხვდნენ.

# სიტი ევროთასებიდან 2 წლით მოკვეთეს

უეფას მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, მანჩესტერ სიტი მომდევნო 2 წლის განმავლობაში ევროტურნირებზე ვერ ითამაშებს. ევროპის მთავარმა საფეხბურთო ორგანომ „ქალაქელები“ ფინანსური ფეარ-პლეის დარღვევაში დაადანაშაულა, რის გამოც 2-წლიანი სასჯელი და 30 მილიონი ევროს გადახდა დააკისრეს.

სიტი უეფას გადაწყვეტილებას უკვე გამოეხმაურა. ინგლისური კლუბი წერს, რომ უეფას გადაწყვეტილებით იმედგაცრუებულია, მაგრამ არც გადაწყვეტილება გაჰკვირვებია.

მანჩესტერული კლუბი ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს – ხელმძღვანელობა უეფაში სარჩელს შეიტანს, რათა საქმე მალე გადაიხედოს. თუ უეფაში გადაწყვეტილებას არ შეცვლიან, სიტი ევროტურნირებზე 2020-21 და 2021-22 წლების სეზონში თამაშს ვერ შეძლებს.

ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების მერვედფინალში კი, სიტი მადრიდის რეალს უნდა დაუპირისპირდეს. თუ მომდევნო გასაჩივრება შედეგს არ გამოიღებს, შესაძლოა, უახლოესი წლების განმავლობაში ეს სიტის ბოლო თამაშები იყოს ევროპის ელიტურ საკლუბო ტურნირში.



ცოტა რამ უახლესი ისტორიიდან: უეფამ მანჩესტერ სიტის გარშემო გავრცელებული სკანდალური ცნობების შესახებ გამოძიების დაწყება შარშან, 2019 წლის მარტში დაადასტურა. მანამდე, 2018 წლის მიწურულს, გერმანულმა ჟურნალმა ჟურნალმა „შპიგელმა“ მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ არაერთი ბრალდება გაავრცელა. საქმე ეხებოდა არალეგალურ ფინანსურ ოპერაციებსა და ფულის გათეთრებას. გავრცელებული ცნობებით, სიტი სპონსორებისგან იმაზე გაცილებით მეტ შემოსავალს აჩვენებდა, ვიდრე სინამდვილეში ჰქონდა – ამ მანიპულაციის მიზანი ფინანსური ფეარ პლეის შესრულება გახლდათ.

შპიგელი იმასაც წერდა, რომ იტალიელი მწვრთნელი რობერტო მანჩინი, რომელიც სიტის 2009-დან 2013 წლამდე ხელმძღვანელობდა და ახლა იტალიის ნაკრების დამრიგებელია, ინგლისურ კლუბში რეალურად 2-ჯერ მეტ ხელფასს იღებდა. მისი შემოსავალი სიტიში წელიწადში 3,67 მილიონი ევრო იყო, ოფიციალური საბუთების მიხედვით კი მხოლოდ 1,67 მილიონი ევრო იყო ნაჩვენები.

რეალური ხელფასის დანარჩენ ნაწილს (2 მილიონი ევრო) მანჩინის არაბთა გაერთიანებული საამიროების კლუბი ალ ჯაზირა უხდიდა, რომელიც სიტის მფლობელს, შეიხ საიდ ბინ-ზაიედს ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ მანჩინი ალ ჯაზირაში სპეციალური მრჩევლის თანამდებობაზე იყო გაფორმებული. მანჩესტერ სიტიმ იტალიელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით ინგლისის ჩემპიონატი, თასი და სუპერთასი მოიგო.

მეტიც, სიტის, შესაძლოა, უეფას ფინანსური ფეარპლეის დარღვევისთვის ევროტურნირებიდან 2 სეზონით მოკვეთა არ აკმარონ. ბრიტანული გამოცემების მტკიცებით, არ არის გამორიცხული, „ქალაქელებს“ პრემიერლიგაში ქულები დააკლონ, რადგან ეს დარღვევა შიდა ტურნირსაც ეხება. პრემიერლიგის შესაბამისმა კომიტეტმა უკვე განიხილა აღნიშნული საკითხი და სიტისთვის ქულების ჩამოკლება სავსებით რეალურია.

ინგლისის საფეხბურთო ლიგამ ახლახან შეცვალა წესები იმგვარად, რომ კლუბები მსგავს სიტუაციაში ლიგა 2-ში, ანუ რანგით მე-4 დივიზიონში დააქვეითონ.

როგორც უკვე ვთქვით, მანკუნიანური კლუბი გამოტანილ ვერდიქტს სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში გაასაჩივრებს. მედიის ცნობით, თუ მანჩესტერელებმა აპელაცია ვერ მოიგეს, მწვრთნელი პეპ გვარდიოლა გუნდს დატოვებს.

# ილიას ზუროსმა გაფართოებული შემადგენლობა შეკვეცა



საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა ევროპის 2021 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადება დაიწყო. რამდენიმე დღის წინ დასახელებული 24 კანდიდატიდან ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა 16 კალათბურთელი შეარჩია, რომლებიც შეკრებას დაიწყებენ. ესენი არიან:

გიორგი ცინცაძე, რატი ანდრონიკაშვილი, თად მაკფადენი, მერაბ ბოქოლიშვილი, საბა ლობჯანიძე, ირაკლი სულხანიშვილი, დუდა სანაძე, დავით კაკუშაძე, მიხეილ ბერიშვილი, გიორგი კორსანტია, ალექსანდრე ფევაძე, ბექა ბურჯანაძე, ილია ლონდარიძე, ბექა ბექაური, გიორგი შერმადინი და გიორგი ტურძილაძე.

საქართველოს ნაკრები 16, 17, 18 და 19 თებერვალს ვარჯიშებს სპორტის სასახლეში გამართავს, რის შედეგადაც საბოლოოდ შეირჩევა გუნდის ძირითადი 12-კაციანი შემადგენლობა, რომლითაც 20 თებერვალს თბილისში – შვეიცარიას, 23 თებერვალს კი ბელგრადში სერბეთს დავუპირისპირდებით.

მოგეხსენებათ, საქართველო 2021 წლის ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპს გერმანიასთან, იტალიასთან და ჩეხეთთან ერთად მასპინძლობს. ამ მიზეზით ოთხივე ქვეყანას ევრობასკეტის საგზური მოპოვებული აქვს, თუმცა, ფიბა-ევროპის გადაწყვეტილებით, საქართველოც, გერმანიაც, იტალიაც და ჩეხეთიც საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ, რათა ევროპირველობას უკეთ მომზადებულები შეხვდნენ.

# შედეგები

## 15 თებერვალი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

საუთჰემპტონი-ბარნლი ... 1:2
ნორვიჩი-ლივერპული ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 26 | 25 | 1 | 0 | 61-15 | 76 |
| 2.სიტი | 25 | 16 | 3 | 6 | 65-29 | 51 |
| 3.ლესტერი | 25 | 15 | 4 | 6 | 54-26 | 49 |
| 4.ჩელსი | 25 | 12 | 5 | 8 | 43-34 | 41 |
| 5.შეფილდი | 26 | 10 | 9 | 7 | 28-24 | 39 |
| 6.ტოტენჰემი | 25 | 10 | 7 | 8 | 40-32 | 37 |
| 7.ევერტონი | 26 | 10 | 6 | 10 | 34-38 | 36 |
| 8.მანჩესტერი | 25 | 9 | 8 | 8 | 36-29 | 35 |
| 9.ვულვზი | 25 | 8 | 11 | 6 | 35-32 | 35 |
| 10.ბარნლი | 26 | 10 | 4 | 12 | 30-39 | 34 |
| 11.არსენალი | 25 | 6 | 13 | 6 | 32-34 | 31 |
| 12.ნიუკასლი | 25 | 8 | 7 | 10 | 24-36 | 31 |
| 13.საუთჰემპტონი | 26 | 9 | 4 | 13 | 32-48 | 31 |
| 14.კრ.პალასი | 26 | 7 | 9 | 10 | 23-32 | 30 |
| 15.ბრაიტონი | 26 | 6 | 9 | 11 | 31-38 | 27 |
| 16.ბორნმუთი | 26 | 7 | 5 | 14 | 26-40 | 26 |
| 17.ასტონ ვილა | 25 | 7 | 4 | 14 | 32-47 | 25 |
| 18.ვესტ ჰემი | 25 | 6 | 6 | 13 | 30-43 | 24 |
| 19.უოტფორდი | 26 | 5 | 9 | 12 | 24-40 | 24 |
| 20.ნორვიჩი | 26 | 4 | 6 | 16 | 24-48 | 18 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ვესტ ბრომვიჩი-ნოტინგემი ... 2:2
ბირმინგემი-ბრენტფორდი ... 1:1
დერბი-ჰადერსფილდი ... 1:1
კარდიფი-უიგანი ... 2:2
ქპრ-სტოკი ... 4:2
ლიდსი-ბრისტოლი ... 1:0
მიდლსბრო-ლუთონი ... 0:1
პრესტონი-მილუოლი ... 0:1
ფულემი-ბარნსლი ... 0:3
ჩარლტონი-ბლექბერენი ... 0:2
უენსდი-რედინგი ... 0:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-ფრაიბურგი ... 1:1
პადერბორნი-ჰერტა ... 1:2
ლაიფციგი-ვერდერი ... 3:0
უნიონი-ლევერკუზენი ... 2:3
ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი ... 2:3
ფორტუნა-გლადბახი ... 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიფციგი | 22 | 13 | 6 | 3 | 56-25 | 45 |
| 2.ბაიერნი | 21 | 13 | 4 | 4 | 58-23 | 43 |
| 3.დორტმუნდი | 22 | 12 | 6 | 4 | 63-32 | 42 |
| 4.გლადბახი | 21 | 13 | 3 | 5 | 42-24 | 42 |
| 5.ლევერკუზენი | 22 | 12 | 4 | 6 | 38-29 | 40 |
| 6.შალკე | 21 | 9 | 8 | 4 | 32-27 | 35 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 22 | 10 | 3 | 9 | 33-35 | 33 |
| 8.ფრაიბურგი | 22 | 9 | 6 | 7 | 31-31 | 33 |
| 9.ვოლფსბურგი | 22 | 8 | 7 | 7 | 28-28 | 31 |
| 10.აინტრახტი | 22 | 8 | 4 | 10 | 36-35 | 28 |
| 11.აუგსბურგი | 22 | 7 | 6 | 9 | 34-45 | 27 |
| 12.უნიონი | 22 | 8 | 2 | 12 | 27-35 | 26 |
| 13.ჰერტა | 22 | 7 | 5 | 10 | 27-38 | 26 |
| 14.კიოლნი | 20 | 7 | 2 | 11 | 27-38 | 23 |
| 15.მაინცი | 21 | 7 | 0 | 14 | 31-48 | 21 |
| 16.ფორტუნა | 22 | 4 | 5 | 13 | 21-46 | 17 |
| 17.ვერდერი | 22 | 4 | 5 | 13 | 25-51 | 17 |
| 18.პადერბორნი | 22 | 4 | 4 | 14 | 27-47 | 16 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-ჰამბურგი ... 1:1
ფიურტი-არმინია ... 2:4
რეგენსბურგი-ვისბადენი ... 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-ალავესი ... 1:0
ბარსელონა-ხეტაფე ... 2:1
ვილიარეალი-ლევანტე ... 2:1
გრანადა-ვალიადოლიდი ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 23 | 15 | 7 | 1 | 44-14 | 52 |
| 2.ბარსელონა | 24 | 16 | 4 | 4 | 57-29 | 52 |
| 3.ხეტაფე | 24 | 12 | 6 | 6 | 36-22 | 42 |
| 4.ატლეტიკო | 24 | 10 | 10 | 4 | 25-17 | 40 |
| 5.სევილია | 24 | 11 | 7 | 6 | 31-25 | 40 |
| 6.ვილიარეალი | 24 | 11 | 5 | 8 | 42-32 | 38 |
| 7.ვალენსია | 24 | 10 | 8 | 6 | 35-34 | 38 |
| 8.სოსიედადი | 23 | 11 | 4 | 8 | 39-31 | 37 |
| 9.გრანადა | 24 | 10 | 3 | 11 | 29-31 | 33 |
| 10.ბილბაო | 23 | 7 | 10 | 6 | 23-19 | 31 |
| 11.ლევანტე | 24 | 9 | 2 | 13 | 30-36 | 29 |
| 12.ოსასუნა | 23 | 6 | 10 | 7 | 30-32 | 28 |
| 13.ბეტისი | 23 | 7 | 7 | 9 | 32-37 | 28 |
| 14.ალავესი | 24 | 7 | 6 | 11 | 25-34 | 27 |
| 15.ვალიადოლიდი | 24 | 5 | 11 | 8 | 20-27 | 26 |
| 16.ეიბარი | 23 | 6 | 6 | 11 | 22-32 | 24 |
| 17.მალიორკა | 24 | 6 | 3 | 15 | 23-39 | 21 |
| 18.სელტა | 23 | 4 | 8 | 11 | 19-32 | 20 |
| 19.ესპანიოლი | 24 | 4 | 7 | 13 | 21-42 | 19 |
| 20.ლეგანესი | 23 | 4 | 6 | 13 | 18-38 | 18 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-ალმერია ... 3:2
ნუმანსია-ლას პალმასი ... 1:1
ოვიედო-ალკორკონი ... 1:2
ელჩე-სარაგოსა ... 1:2

**იტალია. სერია ა**

ლეჩე-სპალი ... 2:1
ბოლონია-ჯენოა ... 0:3
ატალანტა-რომა ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 23 | 16 | 6 | 1 | 48-20 | 54 |
| 2.იუვენტუსი | 23 | 17 | 3 | 3 | 44-23 | 54 |
| 3.ლაციო | 23 | 16 | 5 | 2 | 53-20 | 53 |
| 4.ატალანტა | 24 | 13 | 6 | 5 | 63-32 | 45 |
| 5.რომა | 24 | 11 | 6 | 7 | 43-32 | 39 |
| 6.ვერონა | 23 | 9 | 7 | 7 | 28-24 | 34 |
| 7.ბოლონია | 24 | 9 | 6 | 9 | 37-39 | 33 |
| 8.კალიარი | 23 | 8 | 8 | 7 | 38-35 | 32 |
| 9.პარმა | 23 | 9 | 5 | 9 | 31-30 | 32 |
| 10.მილანი | 23 | 9 | 5 | 9 | 25-31 | 32 |
| 11.ნაპოლი | 23 | 8 | 6 | 9 | 36-34 | 30 |
| 12.სასუოლო | 23 | 8 | 5 | 10 | 38-38 | 29 |
| 13.ტორინო | 23 | 8 | 3 | 12 | 27-42 | 27 |
| 14.ფიორენტინა | 23 | 6 | 7 | 10 | 26-34 | 25 |
| 15.ლეჩე | 24 | 6 | 7 | 11 | 32-45 | 25 |
| 16.უდინეზე | 23 | 7 | 4 | 12 | 20-36 | 25 |
| 17.სამპდორია | 23 | 6 | 5 | 12 | 25-38 | 23 |
| 18.ჯენოა | 24 | 5 | 7 | 12 | 27-43 | 22 |
| 19.ბრეშა | 23 | 4 | 4 | 15 | 21-42 | 16 |
| 20.სპალი | 24 | 4 | 3 | 17 | 18-42 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

ბენევენტო-პორდენონე ... 2:1
ვენეცია-ვირტუსი ... 2:2
ლივორნო-კოზენცა ... 0:3
იუვე სტაბია-კროტონე ... 3:2
სპეცია-ასკოლი ... 3:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ამიენი-პსჟ ... 4:4
ბორდო-დიჟონი ... 2:2
ნანტი-მეცი ... 0:0
ნიმი-ანჟე ... 1:0
ტულუზა-ნიცა ... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 25 | 21 | 2 | 3 | 67-21 | 64 |
| 2.მარსელი | 24 | 14 | 7 | 3 | 33-21 | 49 |
| 3.რენი | 24 | 12 | 5 | 7 | 29-22 | 41 |
| 4.ლილი | 24 | 12 | 4 | 8 | 29-25 | 40 |
| 5.მონაკო | 25 | 11 | 5 | 9 | 41-40 | 38 |
| 6.მონპელიე | 25 | 10 | 7 | 8 | 32-28 | 37 |
| 7.სტრასბური | 24 | 11 | 3 | 10 | 31-28 | 36 |
| 8.ნიცა | 25 | 10 | 6 | 9 | 36-34 | 36 |
| 9.ბორდო | 25 | 9 | 8 | 8 | 35-28 | 35 |
| 10.ლიონი | 24 | 9 | 6 | 9 | 37-25 | 33 |
| 11.რეიმსი | 24 | 8 | 9 | 7 | 22-19 | 33 |
| 12.ნანტი | 25 | 10 | 4 | 11 | 25-27 | 34 |
| 13.ანჟე | 25 | 8 | 6 | 11 | 24-33 | 30 |
| 14.ბრესტი | 24 | 7 | 9 | 8 | 29-31 | 30 |
| 15.მეცი | 25 | 6 | 10 | 9 | 24-32 | 28 |
| 16.სტ.ეტიენი | 24 | 8 | 4 | 12 | 25-38 | 28 |
| 17.ნიმი | 25 | 7 | 6 | 12 | 25-37 | 27 |
| 18.დიჟონი | 25 | 6 | 8 | 11 | 23-31 | 25 |
| 19.ამიენი | 25 | 4 | 9 | 12 | 29-47 | 21 |
| 20.ტულუზა | 25 | 3 | 4 | 18 | 21-51 | 13 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლორიანი-კლერმონი ... 0:1
ნანსი-გენგამი ... 0:1

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ტვენტე-ალკმაარი ... 2:0

**ტვენტეს პირველი გოლი გიორგი აბურჯანიამ გაიტანა**

დენ ჰააგი-ეინდჰოვენი ... 0:3
სიტარდი-ემენი ... 0:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

პორტიმორენშე-მორეირენშე ... 1:1
სანტა კლარა-ტონდელა ... 1:0
ბენფიკა-ბრაგა ... 0:1
რიუ ავე-სპორტინგი ... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-თუნი ... 0:1
სიონი-ქსამაქსი ... 1:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

როსი-სტ.ჯონსონი ... 1:1
ჰართსი-ჰამილტონი ... 2:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-ჰარტბერგი ... 3:0
ალტახი-აუსტრია ... 2:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბრიუგე-ბევერენი ... 2:1
ოსტენდე-კორტრაიკი ... 0:3
სტ.ტრუიდენი-სერკლი ... 0:1
მეხელენი-ანდერლეხტი ... 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლარისა-პაოკი ... 1:2
ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი ... 4:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

დენიზლი-ქაისერი ... 0:1
ქონია-გიოზთეფე ... 1:3
ანკარაგიუჯიუ-ფენერბახჩე ... 2:1

**ანკარაგიუჯიუს პირველი გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა**

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

კარვინა-ზლინი ... 2:0
სლოვაცკო-ბანიკი ... 0:1
ტეპლიცე-სიგმა ... 1:3
სპარტა-ლიბერეცი ... 0:2

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

ლოძი-პლოცკი ... 0:0
პოგონი-სლასკი ... 0:0
ჩენსტოხოვა-ლეგია ... 2:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სკანვორდი



1. ნაბიჯი ბალეტში; 2. კარელია-ფინეთის ეპოსი; 3. ... მიცკევიჩი; 4. სპილენძის, ნიკელის და თუთიის შენადნობი; 5. ჭამის სურვილი; 6. შინაური ცხოველი; 7. ... ტაილერი; 8. საფლობი ტალახი; 9. ... ესაკია; 10. ქალთა ქართული ცეკვა; 11. ... კაპონე; 12. თხელი ბადურა ქსოვილი; 13. ერთგვარი პატარა ჩიტი; 14. ჩინელთა ბელადი; 15. ფრანგული საწებლიანი საჭმელი; 16. წონის ერთეული; 17. ცხენების ჯოგი; 18. ფირნიში; 19. ყაზახეთის ფული; 20. ... სტრიპი; 21. პიტ ...; 22. გაოცების გამომხატველი შეძახილი; 23. ქიმიური ელემენტი; 24. იტალიის პრეზიდენტის სასახლე; 25. ტყის მსხალი; 26. იაპონური პოეზიის ჟანრი; 27. მდინარე სამხრეთ კავკასიაში; 28. გერმანელი მწერალი (მე-18 ს.ს); 29. გასეირნება ბავშვის ენაზე; 30. ბერძნული ანბანის ასო; 31. აზერბაიჯანის დედაქალაქი; 32. გრამატიკის ნაწილი; 33. ქალის ან ბავშვის დაბალი ხმა; 34. „თეთრი ...“ კ/ფ; 35. კათოლიკური წირვა; 36. სამელექტროდიანი ელექტრონმილაკი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბავარია; 2. ანტონიმი; 3. პლანეტა; 5. მატეზერი; 7. მურილიო; 9. გერიატრია; 13. ბაიკალი; 15. შუამთა; 16. ჰამამი; 18. ოკაცე.

**თარაზულად:** 4. ქალამანი; 6. კონსუელო; 8. კაპიტოლიუმი; 10. ტანკერი; 11. როტა; 12. ყინული; 14. ფშავი; 17. სტეკა; 19. ტანკი; 20. გამბუზია; 21. აურა; 22. მარასკინი; 23. ღერლეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქანთრი; 2. იმიჯი; 3. რიცი; 5. ფიშერი; 6. ხრამი; 7. სიმონია; 11. რაუნდი; 13. ჩხავერი; 14. პენსი; 15. ვალონია; 16. მაჯონგი; 17. როკოკო; 19. ამანი; 20. მუდო.

**თარაზულად:** 1. ქეიბური; 4. პიაფი; 8. ცვილი; 9. შობა; 10. თეჯირი; 12. გომბორი; 14. პინო; 15. ვავრინკა; 16. მენჯი; 17. როდეო; 18. იმოლა; 21. კაფია; 22. გონდოლა; 23. ნეკრესი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


17 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8718

ევრო — 3.1127

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7402

100 რუსული რუბლი — 4.5228

## ამინდის პროგნოზი 17 თებერვლისთვის








## 18 თებერვლიდან

მიხეილ კვესელავა

# ნიურნბერგის პროცესი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## ქარიშხლის შემდეგ სანაპიროზე ამოუცნობი არსების ჩონჩხი გამოირიყა



შოტლანდიის ქალაქ აბერდინის სანაპიროზე ამოუცნობი არსების უზარმაზარი ჩონჩხი გამოირიყა. ამ ინფორმაციას ფაბერ ნიუსის ჯგუფი ფეისბუქში ავრცელებს.

ჯგუფის ადმინისტრატორმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ სანაპიროზე უჩვეულო ჩონჩხს გადააწყდა.

— ვინმეს აქვს წარმოდგენა იმაზე, თუ რა არსება შეიძლება იყოს ეს? — იკითხა ინფორმაციის ავტორმა. მან ეს ინფორმაცია ქარიშხალ „სიარადან“ რამდენიმე საათში გამოაქვეყნა. ქარიშხლის დროს ქარის სისწრაფე საათში დაახლოებით 145 კილომეტრს აღწევდა.

კომენტარებში ბევრმა ინტერნეტმომხმარებელმა ივარაუდა, რომ ის, შესაძლოა, დელფინის ან ცელნამგალა (მკვლელი) ვეშაპის ჩონჩხი იყო. ერთ-ერთი ინტერნეტ-მომხმარებლის ლინ კროუფორდის თქმით კი მან მსგავსი რამ აბერდინის მახლობლად მდებარე სოფელ ბლეკდოგის სანაპიროზე ნახა. ზოგიერთმა საკუთარ კომენტარში ხუმრობით აღნიშნა, რომ ეს ლოჰ-ნესის ურჩხულის ჩონჩხი იყო, ნაწილმა კი ის დინოზავრის ჩონჩხად მიიჩნია.

## კურიერი პიცაში ჩაფურთხებისთვის ციხეში გაუშვეს



თურქეთში პიცაში ჩაფურთხებისთვის კურიერს პატიმრობა მიუსაჯეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

სასამართლო სხდომა 11 თებერვალს გაიმართა. ბრალდებული ბურაკ ს. მისთვის წაყენებულ ბრალდებას უარყოფდა და გათავისუფლებას მოითხოვდა. ამის მიუხედავად, სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო „ადამიანების სიცოცხლის საკვების მოწამვლის ან დაზიანების საშუალებით საფრთხეში ჩაგდების“ მუხლით. კურიერს ციხეში ორწელიწად-ნახევრის გატარება მოუწევს.

ინციდენტი ქალაქ ესკიშეხირში 2017 წელს მოხდა. პიცის დამტარებელმა, რომელიც იმ დროისთვის 18 წლის იყო, გახსნა კოლოფი, მისკენ დაიხარა, ამ დროს ხელში ეჭირა ტელეფონი, პიცას დააფურთხა, ფოტოსურათი გადაუღო, შემდეგ კი მეხუთე სართულზე მცხოვრებ შემკვეთ ჰუსეინ ალიუზს მიუტანა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

გოგონამ ტაქსი გააჩერა და მძღოლს სადგურზე წაყვანა სთხოვა. გზაში მძღოლი გოგონას ეუბნება:

— დღეს უკვე მესამე ფეხმძიმე ქალი მიმყავს სადგურზე.

— მე ჯერ ფეხმძიმედ არ ვარ.

— ჯერ ხომ არც სადგურში მივსულვართ.

•••

გამომძიებელი დაზარალებულს ეკითხება:

— ბინის ქურდის თავდასხმისთანავე რატომ არ დარეკეთ პოლიციაში?

— ბატონო გამომძიებელო, იმიტომ, რომ ყველაფერი ჩვეულებრივ მოხდა...

— ეგ როგორ?

— სახლში ნასვამი დავბრუნდი, კარი გავაღე თუ არა, შუბლში ტაფა მომხვდა, თვალებიდან ნაპერწკლები გადმომცვივდა, გავითიშე. გონს რომ მოვედი, შუბლზე კოპი მაჯდა, ჩუმად მივხოხდი დივნამდე, დავწექი და დილამდე მეძინა. აბა, საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ცოლი სიდედრთან იყო წასული.

•••

პაციენტი ექიმს მიმართავს:

— ექიმო, მხედველობა გამიუარესდა, შორს დანახვა მიჭირს.

— კარგი, ფანჯარასთან მიდით და მითხარით, რას ხედავთ?

— მზეს, ექიმო.

— მერე, მაგაზე შორს რაღა გინდა, რომ დაინახო?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნინი დედალამაზიშვილი გათხოვდა



ჯგუფ „მგზავრების“ ყოფილი წევრი ნინი დედალამაზიშვილი გათხოვდა. ახალ წელს ის საყვარელ მამაკაცზე — სანდრო მარგველაშვილზე დაინიშნა.

წყვილმა ჯვრის მონასტერში დაიწერა ჯვარი და ერთმანეთს სამუდამო სიყვარული შეჰფიცა. ჯვრისწერის ფოტოები ინტერნეტში გავრცელდა.

ქორწილში ნინისა და სანდროს უახლოესი მეგობრები და ოჯახის წევრები იყვნენ მიწვეული.

ნინის პირველი ქორწინებიდან გოგონა — ელენე ყიფიანი ჰყავს.

## კოკა ნიკოლაძემ და ნინო დევიძემ „ქუჩაში ერთხელ“ ჟესტების ენაზე შეასრულეს



„ნიჭიერის“ ერთ-ერთი სეზონის გამორჩეულმა მონაწილეებმა კოკა ნიკოლაძემ და ნინო დევიძემ ნინო ქათამაძის ერთ-ერთი ჰიტი „ქუჩაში ერთხელ“ ჟესტების ენაზე შეასრულეს.

სიმღერა, რომლის ავტორიც ვაჟა ტუღუშია, კოკასა და ნინოსთვის განსაკუთრებულად საყვარელია.

მათ ჟესტების ენაზე შესრულებული სიმღერის ვიდეორგოლი სოციალურ ქსელში განათავსეს და უამრავი მოწონება, დადებითი კომენტარი და გაზიარებაც დაიმსახურეს.

კოკამ და ნინომ ჟესტების ენაზე ფართო საზოგადოებისთვის პირველად ირაკლი ჩარკვიანის „საქართველო“ შეასრულეს და გულშემატკივართა დიდი არმიაც გაიჩინეს.

## ისტორიკოსი ლაშა ოთხმეზური საფრანგეთში დააჯილდოვეს



ქართველმა ისტორიკოსმა ლაშა ოთხმეზურმა საფრანგეთში მიიღო პრიზი, რომლის მფლობელიც მისი არსებობის ისტორიაში ქართველი პირველად გახდა.

საფრანგეთში ისტორიის დარგში ფრანგულ ენაზე გამოცემული წიგნებისათვის 1987 წლიდან გაიცემა „შატობრიანის სახელობის პრემია“. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრემიის ძირითადი სამიზნე განმანათლებლობის პერიოდის ისტორიის წიგნებია, ლაურეატებში გამონაკლისებიც ხვდებიან.

ეს მნიშვნელოვანი აღიარება წელს გადაეცათ ქართველ ისტორიკოს ლაშა ოთხმეზურსა და მის კოლეგა ხუან ლოპესს მათი განსაკუთრებულად კარგი წიგნისთვის „ბარბაროსა 1941 – აბსოლუტური ომი“, რომელიც ეკა სირაძე-დელონემ თარგმნა.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი საფრანგეთის აკადემიაში გაიმართა, სადაც ლაშა ოთხმეზურმა ეს საპატიო პრიზი მიიღო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## „ბორჯღალოსნები“ ბელგიას გადახალისებული შემადგენლობით დაუხვდება



რაგბი ევროპის ჩემპიონატის მესამე ტურში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 22 თებერვალს ქუთაისში, „აია არენაზე“ ბელგიას დაუხვდება. ადრეც გაცხადებული იყო, რომ ამ მატჩისთვის „ბორჯღალოსნების“ მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი გადახალისებულ შემადგენლობას გაიყვანდა. ასეც მოხდა — მაისაშვილმა მომავალი მატჩისთვის 29 მორაგბე გამოიძახა, სადაც რამდენიმე დებიუტანტია.

გაფართოებული შემადგენლობა ბელგიასთან ასეთია:

**შერკინება:** გურამ გოგიჩაშვილი (რასინგი 92, საფრანგეთი), გიორგი თეთრაშვილი (აჟენი, საფრანგეთი), შალვა მამუკაშვილი (ყოჩები), ვანო კარკაძე (ბრივი, საფრანგეთი), გიორგი ჭყოიძე (ლოკომოტივი, რუსეთი), გიორგი მელიქიძე (სტად ფრანსე, საფრანგეთი), ლაშა ტაბიძე (ბორდო, საფრანგეთი); ნოდარ ჭეიშვილი (ლონდონ სქოთიში, ინგლისი), შალვა სუთიაშვილი (ანგულემი, საფრანგეთი), დავით გიგაური (კოლომიე, საფრანგეთი), ლაშა ჯაიანი (ექსეთერის უნივერსიტეტი, ინგლისი); ბექა სალინაძე, გიორგი ცუცქირიძე (ორივე ორიაკი, საფრანგეთი), მიხეილ გაჩეჩილაძე (ენისეი, რუსეთი), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი), თორნიკე ჯალაღონია (ბიარიცი, საფრანგეთი), ბექა გორგაძე (ბორდო, საფრანგეთი).

**ხაზი:** გელა აფრასიძე (მონპელიე, საფრანგეთი), გიორგი ბეგაძე (ჯიქი), ლაშა ხმალაძე, ალექსანდრე თოდუა (ორივე ბათუმი), თედო აბჟანდაძე (ბრივი, საფრანგეთი), ლაშა მალაღურაძე (ვევეა, რუსეთი), თამაზ მჭედლიძე (რუანი, საფრანგეთი), ზურაბ ძნელაძე (ლოკომოტივი), დავით კაჭარავა (ენისეი, რუსეთი), დემურ თაფლაძე, აკაკი ტაბუცაძე, სოსო მათიაშვილი (ყველა ლელოსარასენს, 15).

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შვიდი წლის ბიჭმა 40 წლის წინ დაკარგული ბეჭედი იპოვა



ამერიკის აიდაჰოს შტატში ბავშვმა ბუნებრივ ცხელ წყლებში ყვინთვის დროს 40 წლის წინ დაკარგული ბრილიანტისთვლიანი საქორწინო ბეჭედი იპოვა.

შვიდი წლის ბიჭი, სახელად თეო ბლუმი, დედასთან ერთად გეოთერმულ წყლებ ტრინიტიზე ისვენებდა. ის ყვინთავდა და წყალსატევის ფსკერზე განძს ეძებდა. მოულოდნელად მან ვერცხლისფერი საგანი შენიშნა და ნაპირზე ამოიტანა, რომელიც ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი აღმოჩნდა.

კურორტის თანამშრომლებმა ფეისბუქში ნივთის პოვნის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნეს. მათ აღნიშნეს, რომ ბოლო წლებში სამკაულის დაკარგვის თაობაზე არავის განუცხადებია. ინფორმაციას გამოეხმაურა შერი მაკკლიურ ლაუერი. ქალის თქმით, მან საქორწინო ბეჭედი 1970-იანი წლების ბოლოს დაკარგა და დაკარგული სამკაულის ფოტოსურათი გამოაქვეყნა. ტრინიტის თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ თეომ სწორედ ეს ბეჭედი იპოვა.

დაკარგული სამკაულის პოვნისთვის ტრინიტიეს ხელმძღვანელობამ პატარა ბიჭს და დედამისს ჯილდოს სახით კურორტით სარგებლობის ერთწლიანი აბონემენტი გადასცა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 17 თებერვლისთვის

**ვერძი** — ნებისმიერი საქმიანობა სხვა დროისათვის გადადეთ. არაკეთილისმყოფელი დღეა. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი პრობლემები იჩენს თავს. **კურო** — ყველა დაწყებული საქმე დაამთავრეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ემოციები მოთოკეთ და დიეტა დაიცავით. **ტყუპები** — ფართო კონტაქტებისაგან თავი შეიკავეთ. ნებისმიერი შეხვედრა და სტუმრების მიღება გადადეთ. **კირჩხიბი** — დღევანდელი დღე მთლიანად საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. ერიდეთ ქალაქიდან გასვლას. **ლომი** — პირად ცხოვრებაში პრობლემებია მოსალოდნელი. ერიდეთ პარტნიორთან კამათსა და პრეტენზიების წაყენებას. **ქალწული** — ნუ იქნებით ეჭვიანი და მომთხოვნი. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **სასწორი** — შესაფერისი დღეა კომერციული საქმიანობისათვის, ახალი ხელშეკრულებების გასაფორმებლად. საღამო რომანტიკულ გარემოში გაატარეთ. **ღრიანკალი** — დღევანდელი დღე მთლიანად საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. ერიდეთ ქალაქიდან გასვლას. **მშვილდოსანი** — სხვის რჩევებს ყურს ნუ დაუგდებთ. გადაწყვეტილება მხოლოდ საკუთარი გულის კარნახით მიიღეთ. მიენდეთ ინტუიციას. **თხის რქა** — თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოთქმებისაგან. მიზნის მიღწევაში სიჯიუტე ხელს შეგიშლით. **მერწყული** — სახლში ნუ დარჩებით. ეცადეთ, ხალხში იტრიალოთ. კარგი იქნება ბუნების წიაღში გასეირნება. **თევზები** — საკუთარ თავს პატარა დღესასწაული მოუწყვეთ. წადით საყიდლებზე. სულ უბრალო ნივთის შეძენაც კი გუნებაგანწყობას გამოგიკეთებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ორი ერთიმეორის ზევითა ფრთის მქონე თვითმფრინავი; 3. დროის ათდღიანი მონაკვეთი; 8. წყლის რწყილი; 9. „ვის უხმობს...“; 14. ერთუჯრედიანი ცხოველი; 15. ქეთოს მამა („ქეთო და კოტე“); 17. ფრანგული ავტომარკა; 20. საფრენი აპარატი; 22. აზროვნების ორგანო; 23. ფულის მისაღები თამასუქი; 25. მემამულე თურქეთში; 26. ამოთხრილი ადგილი მიწაში; 27. მეფე „აბესალომ და ეთერიდან“; 28. მწვანე კონტინენტი.

**შვეულად:** 1. მთავარი საწყობი; 2. ბუნებრივი საღებავი; 3. ხალხის (ეთნიკური ერთობის) საკმაო ნაწილის ყოფნა სხვა ქვეყანაში; 4. რძის პროდუქტი; 5. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 6. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 7. ჩუქჩების ქოხი; 10. ცხენების ჯოგი; 11. ძველინდური სამწერლო ენა; 12. ერთგვარი კანფეტი; 13. საქონლის შესაფუთი მასალა; 16. უდაბნოს ძაღლი; 18. ძველებური საკრავი (სპილენძის თეფშები); 19. სისხლის შენადედი; 21. პორტი მალაიზიაში; 24. მტაცებელი ფრინველი.




*შეადგინა ოლივერ კოხიამ*